პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

# კომუნისტი

[illegible]

რედაქცია: [illegible] № 4.

მთავარი კანტორა: [illegible] № 24

[illegible]

ფასი 5000 მან.

[illegible]

№ 216 ხუთშაბათი, 21 სექტემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 21 სექტემბერი 1922 წ. № 216

## ცენტრალურ აღმასკომის სესია

[illegible] საქართველოს ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ამა წლის სექტემბრის 30-თვის მოწვეულია [illegible] საქართველოს [illegible] ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია, შემდეგი დღიური წესრიგით:

1) მოხსენება ს—ს ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ (მომხსენებელი ფ. მახარაძე).
2) [illegible]
3) [illegible]
4) [illegible]
5) [illegible]
6) [illegible]
7) [illegible]
8) [illegible] (მომხსენებელი ფ. მახარაძე).

[illegible]

0—2 ს—ს ცაკის პრეზიდიუმი.

## უკანასკნელი წყალდიდობა ოზურგეთის მაზრაში

[illegible] რომლის მსგავსი აქამდის არავის ახსოვს და რომელმაც მცხოვრებლებს აუარებელი ზარალი მიაყენა.

ჯერ არაა სისწორით გამოანგარიშებული მთელი ამ ზარალის და მსხვერპლის რაოდენობა, მაგრამ შეიძლია წინდაწინვე ვთქვათ, რომ ნივთიერი ზარალი მეტად დიდი და საგრძნობია.

პირადათ მე მხოლოდ ამ თვის 18-ს შეძლება მომეცა დამეთვალიერებია და ისიც მხოლოდ ნაწილობრივ წყალდიდობის შედეგი ოზურგეთის მაზრაში. მე დავათვალიერე თვით ქ. ოზურგეთი და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლები: **უხობი, დვაბზუ, გომი, შემოქმედი,** ე. ი. მდ. **ნატანების და ბჟუჟის** მიერ მიყენებული ზარალი და განადგურება. აშკარაა, ათი დღის შემდეგ განადგურების სურათი გარეგნობით რამდენიმეთ მაინც უსათუოთ უნდა შეცვლილიყო. და მართლაც, როგორც გადმოგვცეს ამხანაგებმა, სურათი უფრო საშიში და სასოწარკვეთილების მომგვრელი ყოფილიყო. წარმოიდგინეთ: იქ სადაც სახლები იდგენ და ბაღები იყო გაშენებული, ახლა უზარმაზარი ქვები, დიდრონი მოგლეჯილი ხეები და 1-2 არშინის სიმაღლეზე შეზვინული ქვიშა-ღა მოსჩანან; ყანები, ბაღჩები, გზები, ხიდეები წაღებული და გადალეკილი, მდინარეების კალაპოტეები ყოველგან გამოცვლილი ე. ი. ამდენი შრომის ნაყოფი წყალ წაღებული, ან სრულიად დანგრეული და განადგურებული. რომ ყველაფერი ეს სიტყვით გადმოგცეთ, საჭიროა დიდი დრო და შესწავლა და გარდა ამისა მხატვრული ენა, რაც მე არა მაქვს. და ახლაც, ათი-თოთხმეტი დღის შემდეგაც სურათი არსებითათ ოდნავად არ შეცვლილა და არც მოსალოდნელი იყო, რომ შეიცვლებოდა. აქა იქ მიულაგებ-მოულაგებიათ, ალაგ-ალაგ სადაც შესაძლებელი იყო რამდენიმეთ გზებიც შეუკეთებიათ, რომ ადამიანმა შესძლოს გავლა ფეხით მაინც, მაგრამ ყველა ამის გამოსწორებას დიდი და ხანგრძლივი მუშაობა და დიდი სახსარიც ესაჭიროება. წყალს კიდევ შავი მოყოლია: ქვიშების გამო ზოგიერთ ადგილას ამოშვავებულა მიწა, რომელსაც დაუნგრევია არა თუ ცალკე ოჯახები, როგორც სოფ. **გომში,** არამედ მთელი სოფელიც კი, როგორც სოფ. [illegible]ევი.

მეტად გულშემზარავია ეს სურათი. თუ რა იყო ან რა ხდებოდა თვით წყალდიდობის დროს, ე. ი. იმ დროს, როცა მდინარეები, დიდი თუ პატარა, გადმოვიდენ თავისი ჩვეულებრივი კალაპოტებიდან და თითქმის ერთი საჟენის სიმაღლეზე დაფარეს მთელი სოფლები და იმათ შორის თვით ქ. ოზურგეთიც, ეს კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენია. წყალდიდობას უმაღლეს წერტილამდე მიუწევია 8 სექტემბერს, დილის ამ ოთხ საათზე, ანუ იალონზე, როგორც გურიაში ამბობენ, ხალხი [illegible]ნდათან გარბოდა თავის საშველათ, აქონდათ სახლებიდან ნივთები, გარბოდენ მომაღლო ადგილებზე, სადაც ასეთები ახლო იყო, ან ადიოდენ მაღლა სართულზე, სახლების სახურავებზე, ადიოდენ ხეებზე. ამ [illegible] ელოდებიან, აი-აი ეს გაშმაგებული ტალღები იმათაც მისწვდებიან და დააქანებენ უფსკრულისაკენ. ერთხმად ამბობენ, რომ წყალს ჩქარა არ დაეკლო, რომ კიდევ გაგრძელებულიყო ასეთი მდგომარეობა 10—20 წუთს, ნივთიერი ზარალი და ადამიანების მსხვერპლი ერთი ასათ გადიდდებოდა. საბედნიეროთ უნდა ითქვას, რომ დაღუპულ ადამიანების რიცხვი შედარებით ნაკლებია, ვინემ მოსალოდნელი იყო ასეთი დიდი სტიქიური უბედურობის მიხედვით. სამაგიეროთ დიდია ნივთიერი ზარალი.

სამაზრო აღმასკომს უკვე მიუღია ზომები ამ ზარალის გამოსარკვევათ, ჯერ კი ეს სავსებით გამორკვეული არ არის. არის ოჯახები, რომლებიც სრულებით დანგრეული და განადგურებულია, დანარჩენები ნაწილობრივ არიან დაზარალებულნი. დიდძალი **შინაური პირუტყვია** დამხრჩვალი და დაკარგული. პასუხისმგებელ ამხანაგების განცხადებით გურიის წლევანდელი **მთელი მოსავლის ერთი მესამედი** თუ არა **ერთი მეოთხედი** მაინც დაიღუპა. მდ. სუფსის ხეობაში საუკეთესო ყანები სრულებით წაღებულია, ასევე მდ. ნატანების ხეობაშიაც. დაურთეთ ამას გურიის მშვენიერ გზების დანგრევა, რამდენიმე ახალ და ძველ გაკეთებულ ხიდეების წაღება მდ. ნატანებზე, ბჟუჟზე, გუბაზოულზე და სხვა პატარა მდინარეებზე, და სხვ. და სხვ. და შეიძლება თქვენ რამდენიმეთ წარმოიდგინოთ ის ზარალი, რომელიც მიუყენებია გურიისთვის ამ უკანასკნელ წყალდიდობას.

ამოდენა შრომა და ენერგია ასე ჩაიყარა წყალში უეცრივ. ადვილი გასაგებია, რომ ხალხი რამდენიმეთ შიშს მისცემია ამის დანახვაზე. ბევრს აყრა განუზრახავს და სხვაგან გადასახლება. მე ვნახე ოჯახები (სოფ. უჩხობში და გომში), რომლებიც ახლა შლიან თავის სახლებს და სადღაც გარბიან. ერთმა ხანში შესულმა დაცდილმა ამხანაგმა ჩვენთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ამ გზების და ხიდეების აღდგენას მე ვეღარ მოვესწრებიო.

რა თქმა უნდა, ასეთი სულის განწყობილება ამ პირველ დღეებში ადვილი გასაგებია, მაგრამ გურიის ხალხი ჩქარა მოვა გონს. ყოველ შემთხვევაში მას უნდა დროზე დახმარება. თავის-თავათ იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში არავინ არ ფიქრობს გურიის ცალკე გამოყოფას. სამწუხაროთ სხვა მაზრების დათვალიერება პირადათ მე ვერ მოვასწარი. მაგრამ მთავრობა დაუყონებლივ მოახდენს შესაფერ განკარგულებას და მიიღებს ზომებს დაზარალებულთა დასახმარებლათ. რამდენიმე ნაბიჯი უკვე გადადგმულია. რა თქმა უნდა, დახმარება საჭიროა რაც შეიძლება სასწრაფოთ იქნას მოწყობილი. რაც შეეხება ცნობებს დაზარალებულებზე, ამის შეგროვება ევალება ადგილობრივ აღმასკომებს.

გარდა ამისა აუცილებლათ საჭიროა დაუყონებლივ იქნას მიღებული ზომები, სადაც ეს საჭიროა, მოსალოდნელ წყალდიდობის გამანადგურებელ შედეგების თავიდან ასაცდენათ. მაგ., ქ. ოზურგეთის და მის აღმოსავლეთით მდებარე სოფლებს,

[illegible]

ფ. მახარაძე.

## ახალგაზრდობის კავშირის ერთი ამოცანათაგანი

[illegible] იმისთვის, რათა მოიპოვონ ახალგაზრდობაზე თავიანთი იდეიური და ორგანიზაციული გავლენა. რომ არ ვილაპარაკოთ შემათანხმებელ პარტიების მუშაობაზე ამ მიმართულებით, ისეთი შავრაზმული ჯგუფები როგორიცაა იტალიაში ფაშისტები, გერმანიაში—ორგეში და სხ. თავიანთ ორგანიზაციებში თავს უყრიან ახალგაზრდობას და იარაღად იყენებენ ამ უკანასკნელს რეაქციონური მიზნებისათვის.

ბრძოლა ახალგაზრდობის დასაპყრობად გაშლილია მსოფლიო მასშტაბით, და მას ფრიად მწვავე ხასიათი აქვს.

რათა ჩვენ გავიმარჯვოთ ამ ფრონტზე, საჭიროა ახალგაზრდობისადმი განსაკუთრებული და ფრთხილი მიდგომა, სისტემატიური, სერიოზული მუშაობის გაჩაღება.

ახალგაზრდობა, როგორც ასეთი, მეტ წილად მერყევ ელემენტს შეიცავს. ის არ არის საბოლოოდ გარკვეული მსოფლიო—მხედველობის და მტკიცე ნებისყოფის მატარებელი. იგი აზროვნების და ხასიათის შექმნის პროცესში იმყოფება. და სწორედ აქ იმალება საფრთხე მისი ბუნების მოშხამვის.

ჩვენ ვიცით, თუ კაპიტალიზმის სამეფოებში როგორ სწამლავენ შემთანხმებელი და მემარჯვენე პარტიები, სკოლა, სახელმწიფო და სხვ ახალგაზრდობას ოპორტუნისტული, ნაციონალისტური და რეაქციონური იდეებით.

ამ იერიშს ჩვენ უნდა შევხვდეთ მარქსიზმის იარაღით აღჭურვილნი. ახალგაზრდობის განვითარებას უნდა მივსცეთ მარქსისტულ-კომუნისტური მიმართულება და შინაარსი.

კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირმა უნდა გაუწიოს ამ მხრივ ხელმძღვანელობა მთელ ახალგაზრდობას.

ადვილი არ არის ამ სფეროში მუშაობა, მას კერძოდ ჩვენში, ამიერ-კავკასიაში მრავალი დაბრკოლებები შეხვდება. ერთი მთავარი დაბრკოლებათაგანი არის ის გარემოება, რომ ნაწილი ჩვენი ახალგაზრდობისა მოწამლულია შოვინიზმის შხამით. ბრძოლა ამ შოვინიზმის, დაძლევა მისი და ინტერნაციონალურ სოლიდარობის გამეფება ახალგაზრდობაში შეადგენს ამიერ-კავკასიის კომუნისტური ახალგაზრდობის ერთ მნიშვნელოვან ამოცანათაგანს.

ვაკუთნებთ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ახალგაზრდობის ყრილობას, რომელიც ამ ჟამად მიმდინარეობს თბილისში, ყრილობა გაითვალისწინებს არსებულ მდგომარეობას, ახალგაზრდობის როლს და დანიშნულებას დღევანდელ მომენტში და თავის ორგანიზაციებს მისცემს სახელმძღვანელო აზრებს და დირექტივებს, აღნიშნულ და სხვა საჭირბოროტო საკითხების და მოვლენების შესახებ.

ადგილობრივი ორგანიზაციები უნდა შეეცადონ ყრილობის დადგენილებათა ხისრულით გატარებას ცხოვრებაში.

X.

## ნარევი

### კომუნისტური მოძრაობა ნორვეგიაში.

**მცხოვრებთა სოციალური შემადგენლობა:** მცხოვრებთა საერთო რაოდენობა უდრის 2 ნახ. მილიონ სულს, —რომლიდანაც სასოფლო და სატყეო მეურნეობაში ჩაბმულია (ოჯახების ჩართვით) ერთი მილიონი; ვაჭრობაში და ზღვაოსნობაში 400,000; მრეწველობაში—400,000; მეთევზეობაში 150,000 კაცი.

სამრეწველო დარგებში მომუშავე 400,000 კაციდან, 160.000 ითვლება პროფესიონალურ კავშირების წევრებად. პროფ. კავშირის წევრები, უმეტეს შემთხვევაში, შედიან კოლექტიურად მუშათა პარტიაში (კომინტერნის სექციაა).

ასეთ ურთიერთობას პროფ. კავშირებსა და პარტიას შორის დიდი ხანია სკანდინავიაში ადგილი აქვს. ასეთივე ურთიერთობაა დამყარებული შვეციაშიც. ამის შედეგია ის გარემოება, რომ მუშათა პარტიის რიგებში ისეთი წევრები ირიცხებიან, რომელნიც თავიანთი პოზიციით და მოქმედებით ეკუთვნიან მენშევიკურ ბანაკს. მაგრამ ეს პარტია უმნიშვნელო და ახალია. დიდი ხანია უკვე რაც კომინტერნი მოითხოვს, რომ ბოლო მოეღოს პროფკავშირების წევრების კოლლექტიურად შესვლას პარტიაში. კონგრესი, რომელიც მიმდინარე წელს შეიკრიბება, შეიტანს სათანადო შესწორებებს. პროფკავშირები ფორმალურად ამსტერდამის ინტერნაციონალს ემხრობიან, თუმცა წევრთა და სახელმძღვანელო ორგანოთა უმრავლესობა (კავშირის თავმჯდომარე ცნობილი ამხ. ოლელიაპ, რომელიც იმავე დროს პარტიული ცენტრის წევრიც არის,) იმ აზრის არის, რომ საჭიროა დაუყონებლივ გამოსვლა ამსტერდამის ინტერნაციონალიდან.

**ნორვეგიის კომუნისტური პარტია.** როდესაც მსოფლიო ომის დროს 1916 წ. ცენტრალურ ნორვეგიაში დაიწყო სერიოზული მღელვარება სასურსათო კრიზისის ნიადაგზე, სოც. დემოკრატიულმა პარტიამ უარი სთქვა ამ მასიური მოძრაობის ხელმძღვანელობაზე. ასეთივე მდგომარეობას ქონდა ადგილი 1917 წ., როდესაც რუსეთიდან რევოლიუციონური ტალღა მიწვდა მშრალ სკანდინავიასაც, სადაც უეცრად სერიოზული მოძრაობა დაიწყო ჯარის-კაცებში, რომლებმაც მოითხოვეს საბჭოების ორგანიზაცია. შემდეგი წლის გაზაფხულისათვის შესაძლებელი შეიქნა საბჭოთა ყრილობის მოწვევა, რომელმაც წამოაყენა სახელმწიფო გადატრიალების გეგმა. ცენტრ. ხელმძღვანელი ორგანო უარყოფით უყურებდა ამ მოძრაობას. მაგრამ, პარტიაში, მუშაობდა ორგანიზაციულად ძლიერი უმცირესობა, რომელმაც მიმდინარე წლის ყრილობაზე მიიმხრო ყრილობის უმრავლესობა. ხელ ახლა იქნა არჩეული ცენტრის შემადგენლობა; **კირე გრეპპი** (ახლო ხან გარდაცვალებული დამსახურებული ამხ.) აირჩიეს თავმჯდომარედ და პარტია მიემხრო „ციმერვალდის“ მოძრაობას.

1921 წლის მარტის თვეში ყრილობამ მიიღო 281 ხმით 20 ის წინააღმდეგ კომინტერნის თეზისები.

პარტიის განკარგულებაში 35 გაზეთია, მათში 14 ყოველდღიური, დანარჩენი კვირაში 2 3 ჯერ გამოდის. ხელის მომწერთა საერთო რაოდენობა უდრის 195,000, გაზეთების ტირაჟი კი რამოდენიმე ათასით მეტია. გამოცემულია აგრეთვე თეორეტიული ხასიათის ორგანო „მეოცე საუკუნე“. ქალებისათვის არსებობს ცალკე გაზეთი „მუშა-ქალი“. ახალგაზრდობას, რომლის ორგანიზაცია 10.000 წევრს უდრის, აქვს სპეციალური ბეჭდვითი ორგანო. პარტიის განკარგულებაშია 20 სტამბა, თანამეროვე პირობების მიხედვით მოწყობილია გამომცემლობა, დიდი წიგნთსაცავი, პრესის სააგენტო, რომელსაც კავშირი აქვს უცხოეთთან. პარტიის სამეურნეო დარგის ორგანიზაციები გაერთიანებულია ერთ აქციონერულ საზოგადოებაში „სამეურნეო გაერთიანება“-ში, რომლის აქციონერები თვით წევრებია.

პარტიამ ნორვეგიაში მოაწყო მთელი რიგი საღამო სკოლებისა, რომელთაც საფუძვლად დაედვა ერთი გეგმა. დედა ქალაქ ქრისტიანიაში ზამთარში მოეწყო ოთხი თვიანი პარტიული სკოლა. სადაც მეცადინეობა დღით სწარმოებდა.

პროფკავშირებში აქამდე არსებული აქტიურ პარტიულ წევრთა კლუბი გადაკეთებულ იქნა კომუნისტურ იაჩეიკებად.

დიდი მუშაობა გასწია პარტიამ რუსეთის დამშეულთათვის დახმარების აღმოსაჩენად. პარტიის გავლენით, ნორვეგიის ლიბერალური მთავრობა იყო პირველი ევროპის სახელმწიფოებში, რომელმაც მოაწყო რუსეთთან საფოსტო - სატელეგრაფო უშუალო ურთიერთობა.

უკანასკნელ არჩევნების დროს რეჰსტაგში (1921 წ.) ხმები შემდეგ ნაირად იყო განაწილებული:

მუშათა პარტიამ მიიღო 190.000 ხმა და ქონდა 29 ადგილი; მემარჯვენე სოციალისტებმა—84.000 ხმა, 8 ადგილი; კონსერვატორებმა—298.000 ხმა, 57 ადგილი; ლიბერალებმა—147.000 ხმა, 28 ადგილი; აგრარიებმა—117.000 ხმა, 17 ადგილი; სახალხო პარტიამ 23.000 ხმა, 2 ადგილი.

მთავრობა შესდგება ლიბერალპროგრესისტებისაგან.

— ნორვეგია ამ ჟამად განიცდის დიდ ეკონომიურ კრიზისს. ვალიუტის კურსი ძლიერ მაღალია, მრეწველობის და სატყეო მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნილება ძალიან მცირეა. ნორვეგიაშიც, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, კაპიტალისტებმა დაიწყეს იერიშები მუშების წინააღმდეგ. კაპიტალისტების მიერ იერიშების მიტანამ რვა საათის სამუშაო დღისა და სამუშაო ქირის შემცირების წინააღმდეგ გამოიწვია გასული წლის ზაფხულში დიდი გაფიცვები, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციულად მოწყობილმა 120.000 მუშამ. გაფიცვა ორი კვირის შემდეგ დამთავრდა და მოიტანა უმნიშვნელო შედეგები. ამის შემდეგ კაპიტალისტები უფრო გათავხედნენ, მით უმეტეს, რომ უმუშევრობის გამო საკასო რესურსები ძალიან შემცირდა და პროფ. კავშირების ხელმძღვანელებმა ხელი აიღეს აშკარა ბრძოლაზე და დათანხმდენ კანონის გამოცემაზე, რომლის ძალით სოციალ ურ კონფლიქტების გასარჩევად დაწესებულია იძულებითი სამედიატორო სასამართლო.

კანონის მოქმედების ვადა განსაზღვრულია ერთი წლით და სასამართლო მოწყობილია პარიტეტულ ნიადაგზე.

ის ფაქტი, რომ ამ კანონს ხმა მისცა კომუნისტურმა პარტიამ, იყო კომინტერთან კონფლიქტის მიზეზი. აღმასრულებელ კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე დაწვრილებით განხილულ იქნა მდგომარეობა ნორვეგიის კომუნ. პარტიაში. გამოტანილ რეზოლიუციაში სასტიკად გაკიცხულ იქნა შემცთარი გამოყენება „ერთიანი ფრონტის“ ტაქტიკისა. კომინტერნის აღმასრულებელ კომიტ. სხდომის შემდეგ ნორვეგიაში გამართულ დებატებმა დაგვანახა, რომ კომინტერნი მართალი იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალი ყრილობა ნორვეგიის კომუნისტ. პარტიისა, ბოლოს მოუღებს ყოფილ შეცთომებს და შექმნის გარანტიებს მომავალში ასეთი შეცთომების თავიდან ასაცილებლათ. (მოსკ. „იზვესტია“ № 199).

# რადიო-დეპეშები

## ოსმალეთ საბერძნეთის ომი

**ინგლისი ემზადება.**

[illegible]

**ამერიკა და ოსმალეთი.**

**ჰანოვერი.** 19 სექტემბერი. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ შეერთებულმა შტატებმა უარყვეს სამხედრო საქმეებში ჩარევა ოსმალეთის წ.-ნააღმდეგ, მცირე აზიაში მომხდარ ამბების გამო.

**იტალიის პოზიცია.**

**კროიდონი.** 19 სექტემბერი. იტალიის კაბინეთის უკანასკნელ სხდომაზე, ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ არავითარი საბოლოვო გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ. მაგრამ, როგორც სჩანს, იტალია არ მიიღებს უშუალო მონაწილეობას სა- [illegible]

[illegible] ნაბიჯები ქემალ ფაშას წინააღმდეგ დღევანდელ მომენტში სრულიად საკმარისია და რომ სამხედრო საქმეებში ჩარევას შეეძლო კონფლიქტის გართულება. საფრანგეთი არ დაიკისრებს პასუხისმგებლობის იძულებითი ზომების მიღებისათვის და არ დაივალდებულებს თავს აგზავნოს მომავალში სამხედრო რაზმები, ვინაიდან იგი დარწმუნებულია, რომ მიაღწევს საჭირო გამარჯვებას დიპლომატიური გზით. ყოველ შემთხვევაში საფრანგეთი არ შეუერთდება სამხედრო საქმეებში ჩარევას და განაგრძობს მშვიდობიან მოქმედებას.

**ბულგარეთის ნეიტრალიტეტი.**

[illegible]

**ინგლისის ოფიციალური ცნობა.**

[illegible] მოწესრიგებული. ქემალისტების გადაჭარბებული მოთხოვნილებანი შეუძლებლად ხდის დიპლომატიურ მოლაპარაკებას. ოსმალეთის შემოტევისაგან ევროპის დასაცავად საჭიროა ძალები. მოკავშირეების კონსტანტინოპოლიდან განდევნა ქემალ ფაშას ჯარების მიერ კატასტროფიული იქნება და გავლენას იქონიებს ყველა მუსლიმანურ ქვეყნებზე და იმ სახელმწიფოებზე, რომელთაც განიცადეს დამარცხება უკანასკნელ ომში. გამარჯვებული ოსმალეთის ევროპის ტერიტორიაზე შეჭრა გამოიწვევს სერიოზულ გართულებას ბალკანეთში

## ამხ. რადეკი პილსუდსკის გამგზავრების შესახებ

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. ამხ. რადეკმა „პრავდა“-ში მოათავსა წერილი პილსუდსკის რუმინიაში გამგზავრების შესახებ: „გამგზავრება უპირველესად ყოვლისა დემონსტრაციაა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. პოლონეთს დადებული აქვს რუმინიასთან ხელშეკრულება, რომელიც ბელდერსკის ორგანოს სიტყვით აძლევს ურთიერთ დახმარების გარანტიას ორივე სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვარზე. აქედან სჩანს, რომ საბჭოთა რუსეთს ექნება საქმე პოლონეთთან რუსეთ-რუმინიის ომის დროს და რუმინიასთან, პოლონეთთან ომის დროს. პილსუდსკიმ ვალდებულება მიიღო გამოიყვანოს პოლონეთის მუშები და გლეხები ბესარაბიის რუს და უკრაინელ გლეხებზე რუმინიის ბაიარების ბატონობის განსამტკიცებლად. პილსუდსკის გამგზავრება არის დემონსტრაცია არა მარტო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ არამედ აგრეთვე ერთა ლიგის, და უპირველესად ყოვლისა ინგლისის წინააღმდეგ, რომელიც დაინტერესებულია ბელოსლავის ნავთში. პოლონეთს უნდა ეს ნავთი საფრანგეთს გადასცეს. რუმინიაში გამგზავრებას აქვს აგრეთვე საფრანგეთის საწინააღმდეგო... (გამოტოვებულია). პოლონეთის გეგმას მხედველობაში აქვს პოლონეთ-რუმინიის—ჰუნგრეთის კავშირი, კავშირი მემამულეთა სამ სახელმწიფოებისა. ბურჟუაზიული პოლონეთი, როგორც ანტი-გერმანიის და ანტი-რუსეთის ბასტიონი, ეკონომიურად იხრება გერმანიისაკენ. პოლონეთის ანტი-რუსული პოლიტიკა ძალაში რჩება მიუხედავად ყოველგვარ ხრიკებისა და საფრანგეთის მიერ რუსეთისადმი წარმოებულ პოლიტიკის ევოლიუციისა. პოლონეთს ყველაზე ნაკლებათ სურს იყოს საფრანგეთის იარაღათ გერმანიის წინააღმდეგ. პოლონეთი ეძიებდა დახმარებას ოსმალეთთან საბჭოთა წინააღმდეგ. პოლონეთს განძრახული აქვს თამაში სხვა და სხვა მიმართულებით, ამიტომ მისი თამაში ფუჭია. საბჭოთა რუსეთმა თვალ-ყური უნდა ადევნოს თეთრგვარდიელების გალომანის მოძრაობას, მაგრამ ძალიან დიდი ყურადღებით არ უნდა მოეპყროს მას. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა პოლონეთის მიმართ უნდა იყოს პოლიტიკა მოთმინებისა და მოცდისა. პოლონეთის ხალხმა უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა რუსეთი არ არის მისი დამოუკიდებლობის მტერი, მაგრამ ის მზად არის შეხვდეს პილსუდსკის ყოველგვარ ავანტიურას იარაღით ხელში“.

და სისხლის დაღვრას. ინგლისის მთავრობამ მიმართა ბალკანეთის სამივე სახელმწიფოს და მიუთითა ნეიტრალური ზონის დაცვის აუცილებლობაზე. აგრეთვე მიმართა მან ყველა თავის კოლონიებს და წინადადება მისცა მიიღონ მონაწილეობა იმ ინტერესების დაცვაში, რისთვისაც მათ ესოდენი მსხვერპლი გაიღეს. ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს მნიშვნელოვანად გაადიდოს ჯარების რიცხვი კონსტანტინოპოლში, ხოლო ბრიტანეთის ფლოტს ხმელთა შუა ზღვაზე ნაბრძანები აქვს არ მისცეს საშუალება ოსმალეთს დაარღვიოს ნეიტრალური ზონა და გადავიდეს ევროპის ტერიტორიაზე.

**ამერიკა არ ერევა სამხედრო საქმეებში.**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. ჰანოვერიდან მიღებულ ცნობების თანახმად ამერიკა არ მიიღებს არავითარ მონაწილეობას ოსმალეთის საწინააღმდეგო მოქმედებაში და მხოლოდ დახმარებას გაუწევს მცირე აზიის ლტოლვილებს.

**„მეგობრული“ რჩევა.**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. გაზ. „პტი-პარიზიენი“ ურჩევს ინგლისს ზომიერება გამოიჩინოს სრუტეების საკითხში და სწერს: „საჭიროა ურჩიოთ ინგლისის მეგობრებს თავი შეიკავონ გადამეტებულ და მოუფიქრებელ ნაბიჯების გადადგმისაგან ახლო აღმოსავლეთის საკითხში. საჭიროა თავიდან ავიცდინოთ ყველაფერი ის, რაც ოსმალეთს სასოწარკვეთილებამდე მიიყვანს.

**ინგლისის ცენზურის წინააღმდეგ.**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. ამერიკის კოლონიამ კონსტანტინოპოლში პროტესტი განაცხადა იმ მკაცრი ცენზურის წინააღმდეგ, რომელიც დააწესა ინგლისის ხელისუფლებამ.

**უკმაყოფილონი არიან.**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. საფრანგეთის პრესა სასტიკად აკრიტიკებს ინგლისის დეკლარაციას ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ.

## პრესის აზრი

**ლონდონი.** 19 სექტემბერი. ფრანგული გაზეთები სწერენ: „ინგლისი წინადადებას გვაძლევს ჩვენ ომი გამოუცხადოთ ოსმალეთს და მხარი დაუჭიროთ საბერძნეთს მხოლოდ იმისთვის, რათა ვუზრუნველვყოთ სრუტეებზე მისი ბატონობა. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი არ დაუშვებს ომს, რომ საფრანგეთის იარაღით კეთდებოდეს ინგლისის საქმე ინგლისის პოლიტიკა კონფერენციის მოწვევის წინადადების ნაცვლად, აღიარებს ყოველგვარ მოლაპარაკებამდე იარაღით მოქმედების საჭიროებას“ „პტი პარიზენის“ სიტყვებით, საფრანგეთმა უნდა ურჩიოს ინგლისს იყოს ზომიერ ისევ, როგორც ერთ დროს ინგლისმა დაუშალა საფრანგეთს რურის ოკუპაციის განზრახვა. „აკრიენ ფრანსეზ“-ი ამბობს, რომ ინგლისის მეოხებით ოსმალეთი შეუკავშირდება ანტანტის მტრებს.

**რომი.** 19 სექტემბერი. იხილავენ რა ახლო-აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას ინგლისის გაზეთები აღნიშნავენ, რომ უთანხმოებანი მოკავშირეთა შორის, ახლო-აღმოსავლეთში მოქმედების წესის შესახებ, საგრძნობლად ართულებს მდგომარეობას. რეიტერის სააგენტოს ცნობით მტკიცდება, რომ ინგლისის მთავრობა არ შეურიგდება იმას, რომ ანგორის მთავრობის მოთხოვნილებამ სავსებით მოსპოს მოკავშირეების გამარჯვების შედეგები ოსმალეთზე.

**კრაუდენი.** 19 სექტემბერი. „ივინინი სტანდარტი“ უკეთებს რა კომენტრიებს ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას ამბობს:

„თუ აუცილებელი იქნება ინგლისის რაზმების გაძლიერებული შეიარაღება ეს მხოლოდ მიტომ, რომ ქემალისტები მიიყვანებენ ამ ზომამდე,“ „პელ მელი“ ამბობს: „ვინაიდან მოკავშირეების მთავარი ინტერესია თავი დაიფარონ ახალი ომისაგან, ისინი ყოველივე ზომებს უნდა ხმარობდენ თავიდან აიშორონ სამხედრო მოქმედების აზიიდან ევროპაში გადატანა.“

**ნაუენი.** 19 სექტემბერი. საფრანგეთის პრესა გასოცთქვამს გაკვირვებას, რომ ინგლისმა უეცრად აირჩია გარკვეული გზა ახლო აღმოსავლეთის საკითხში და არ შეეცადა წინასწარ მეგობრული ნაბიჯები გადაედგა ანგორის მიმართ.

გერმანიის გაზეთები აფრთხილებენ საფრანგეთს არ დაადგეს ასეთ საშიშ პოზიციას ინგლისთან ერთად, როგორც ამას ილტყობინებიან ოფიციალური წრეები.

იტალიის ოფიციალური განცხადებიდან სჩანს, რომ იტალიის ჯარების ასეთი საქმისთვის მსხვერპლად მიტანა რომელსაც ჰკიცხავს საზოგადოებრივი აზრი და ეწინააღმდეგება მთავრობის პროგრამას—იქნებოდა აბსურდი.

## ინგლისის მინისტრის სიტყვა

**ნაუენი.** 19 სექტემბერი. ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა ნიუსკოლში განაცხადა, რომ ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ გადასწყვიტეს რაც არ უნდა დაუჯდეთ დაიცონ სრუტეების თავისუფლება.

ინგლისს გადაწყვეტილი აქვს საგრძნობლად გააძლიეროს თავისი ჯარები აღმოსავლეთში, რათა წინ აღუდგეს ოსმალეთის თავდასხმას და მას სურს რაც არ უნდა დაუჯდეს დაიცვას შეუსუსტებლად თავისი ავტორიტეტი ინდიაში და ეგვიპტეში.

## საბერძნეთში.

**გაუმარჯოს ლენინს.**

**ხარკოვი, 19 სექტ. ბულგარეთის გაზეთი „ჩასი“ იძლევა ცნობას, რომ ბერძნების თრი პოლკი აჯანყდა; ასწია წითელი დროშა და ათინის ქუჩებში გაიარა ყვირილით: „გაუმარჯოს ლენინს“.**

**ნაუენი.** 19 სექტემბერი. საბერძნეთის ჯარების შემადგენლობიდან მცირე აზიაში ოსმალეთს ტყვედ ჩაუვარდა 70.000 კაცი.

**ბორდო.** 19 სექტემბერი. კალომეპოპულოსმა მოიწვია საბერძნეთის ჟურნალისტები და მიმართა მათ მოწოდებით შესწყვიტონ მთავრობის საწინააღმდეგო კამპანია, რომელსაც შეუძლია უბედურების გამოწვევა.

**იტალია განზე გადგა.**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. იტალიის მთავრობამ ნახევრად ოფიციალურად განაცხადა, რომ იტალია არ მიიღებს მონაწილეობას სამხედრო მოქმედებებში ოსმალეთის წინააღმდეგ.

**ოსმალეთის პრესის აზრი.**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. ოსმალეთის პრესა ანგორაში—სასტიკად ილაშქრებს ინგლისის წინააღმდეგ, ადგილი აქვს აგრეთვე შეურიგებელ ნოტას საფრანგეთის და იტალიის წინააღმდეგ. საზოგადოებრივი აზრი და მეჯლისი წინააღმდეგია შეიარაღებული ბრძოლისა სტამბოლის, ფრაკიის დასაცავად.

**დახმარება თუ წინააღმდეგობა ინგლისის ავანტიურისათვის.**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. ავსტრალია და ნოვაია ზელანდია თანახმანი არიან გაუწიონ სამარი დახმარება ინგლისს ახლო აღმოსავლეთში. კანადა და სამხრეთ-ამერიკა, როგორც სჩანს, უარყოფითად უყურებენ ამ საკითხს.

**გენერალ ტაუშენდის განცხადება.**

**ბორდო.** 19 სექტემბერი. პუანკარესთან მიღების დროს ინგლისის გენერალმა ტაუშენდმა განაცხადა, რომ ის სავსებით ეთანხმება საფრანგეთის პოლიტიკას ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტში.

**საფრანგეთის მოთხოვნილებანი.**

**მოსკოვი,** 19 სექტ. საფრანგეთს განზრახული აქვს მოითხოვოს, რათა ადრიანოპოლი და გალიპოლი გარდაეცეს ოსმალეთს იმ პირობით, რომ ამავე დროს ეს ქალაქები დარჩეს ანტანტის კონტროლ ქვეშ.

**ახლო აღმოსავლეთის კონფერენცია.**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. იტალიის კაბინეტმა მიმართა ლონდონს და პარიზს ხელმეორე ნოტით, სადაც დაჟინებით მოთხოვნილია ახლო-აღმოსავლეთის სამშვიდობო კონფერენციის დაუყონებლივი მოწვევის აუცილებლობა ვენეციაში. ნოტაში აღნიშნულია, რომ მდგომარეობა მეტად სერიოზულია და რომ დაყოვნება გამოიწვევს სერიოზულ გართულებას.

## ანტანტა და გერმანია

**გავენშტეინის დაბრუნება.**

**ნაუენი.** 19 სექტ. ბერლინში ლონდონიდან დაბრუნდა სახელმწიფო ბანკის დირექტორი გავენშტეინი.

**დიუბუას შეცვლა ლუშერით**

**ნაუენი.** 19 სექტემბერი. პარიზში დადის ხმები, რომ ახლო მომავალში დიუბუას საკონტრიბუციო კომისიაში შესცვლიან ლუშერით, რის გამო საფრანგეთის საკონტრიბუციო პოლიტიკა შეიცვლება, რადგან ლუშერი მომხრეა საკონტრიბუციო საკითხში უფრო შემთანხმებელი გზისა.

**ბრედბერგის დაბრუნება.**

**ნაუენი,** 19 სექტემბერი. ინგლისის დელეგატი საკონტრიბუციო კომისიაში ბრედბერგი დაბრუნდა პარიზში. ხმები მისი გადადგომის შესახებ სიმართლეს მოკლებულია.

**ექს-კანცლერის განცხადება.**

**ნაუენი.** 19 სექტემბერი. ყოფილ კანცლერმა მიულერმა განაცხადა მეუმრავლესე სოც.-დემოკრატების ყრილობაზე აუქსბურგში, რომ მიმდინარე ზამთარში გერმანიის ხალხს მოელის უფრო მეტი გაჭირვება, ვინემ ომის დროს. „ევროპის სახელი სთქვა მან,— გაქრება უკვალოდ, თუ ევროპის კონფერენციამ ვერ შესძლო წლის ბოლომდე საკონტრიბუციო მოთხოვნილებების შემცირება და საერთაშორისო ვალების საკითხის გადაწყვეტა. შემდეგ მიულერმა გამოთქვა სურვილი, რომ მტაცებლური მეთოდი ეკონომიურ პოლიტიკაში შეიცვალოს ნამდვილ ეკონომიურ მეთოდებით.

**გავენშტეინის განცხადება.**

**ბორდო.** 19 სექტ. ლონდონიდან დაბრუნებულმა გავენშტეინმა განაცხადა გერმანიის კაბინეტის სხდომაზე, რომ სახელმწიფო ბანკი მზად არის ხელი მოაწეროს ხაზინის ბონებს, რომელიც დანიშნულია ბელგიისათვის ჩასაბარებლად. მთავრობას ამის გამო გადაწყვეტილი აქვს დაუყონებლივ დაიწყოს ბელგიასთან მოლაპარაკება.

## იაპონია და რუსეთი

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. „ნაციის“ ცნობებით, იაპონიის დელეგაციამ ჩან ჩუნში წინადადება მისცა თავის მთავრობას იცნოს გაერთიანებული რუსეთის დელეგაცია, რომელიც წარმომადგენელია მთელი რუსეთის, შეუდგენ საერთო საკითხების განხილვას და დასდონ ეკონომიური შეთანხმება რუსეთთან.

გაზეთები იტყობინებიან, რომ ეს წინადადებები განიხილა იაპონიის მთავრობამ, რომელიც თანახმაა დასდონ ეკონომიური შეთანხმება და იცნონ იოფე მოსკოვის წარმომადგენლად. რაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ნაბიჯი საბჭოთა მთავრობის „დე-ფაქტო“-დ აღიარებისაკენ.

## წითელ რესპუბლიკებში

### რუსეთი

**კანადასთან შეთანხმება.**

**მოსკოვი.** 19 სექტ. საბჭოთა მთავრობის და კანადის კოლონიალურ მთავრობის წარმომადგენელთა შორის ლონდონში დადებულია შეთანხმება, რომლის თანახმად კანადა უერთდება რუსეთ ინგლისის ხელშეკრულებას, რომელიც დადებული იყო 1921 წელში. ახლო მომავალში კანადაში გაემგზავრება რუსეთის დელეგაცია.

**რუსეთის გემების დაბრუნების გამო**

**მოსკოვი.** 19 სექტ. მოხალისე ფლოტის გამგეობის ცნობით, მოხალისე ფლოტის გამგეობის წევრმა, რომელიც გაგზავნილი იყო ინგლისში ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკების საწარმოებლად, რუსეთისათვის 9 გემის დაბრუნების შესახებ, მიიღო თანხმობა 680.000 ტონა ტვირთზიდველობის გემების დაბრუნებისა.

**შეღავათი შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკაში გასამგზავრებლად.**

**მოსკოვი.** 19 სექტ. გზათა სახ. კომისარიატმა შეღავათი შორეულ აღმოსავლეთის მეთაურთა ოჯახებს, შორეულ აღმოსავლეთში გასამგზავრებლად.

**რკინის გზელთა შორის**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. გაიხსნა რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის რკინის-გზის მუშა მოსამსახურეთა კონფერენცია. დელეგატები გაგზავნილი იყო 28.000 შეკავშირებულ პროლეტარების მიერ. კონფერენციაზე აღნიშნული იყო პროფკავშირებში ნაყოფლობით ჩაწერის ბრწყინვალე შედეგი.

**საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარება.**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. დამშეულთა დამხმარე საერთაშორისო მუშათა კომიტეტი შეუდგა ს. პოკროვსკაიაში სანიმუშო საბავშო სახლის მოწყობას 500 ბავშვისათვის.

**მუშათა ფაკულტეტების არსებობის სამი წლის თავი.**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. ომსკში 18 სექტემბერს იდღესასწაულეს მუშათა ფაკულტეტების არსებობის სამი წლის თავი.

**მავნენი.**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. რუსეთის სამხრეთ აღმოსავლეთში თაგვების მიერ გაფუჭებულია ხუთასი ათასი დესეტინა. მიღებულია ზომები თაგვების მოსასპობად.

**თეთრი ემიგრაციის მდგომარეობა.**

**ხარკოვი,** 19 სექტ. ყოფილი ვრანგელის მომხრენი სტამბოლიდან გამოქცეულნი, რომელნიც ჩამოვიდნენ ოდესაში, გადმოგვცემენ, რომ 4,000 რუსეთის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთ მიეცა წინადადება გადასახლდნენ ბულგარეთში და ჩეხო-სლოვაკიაში. ემიგრანტებმა უარი განაცხადეს სტამბოლის დატოვებაზე. ერთა ლიგის კომიტეტმა მათ მოუსპო ულუფის მიცემა. რუსეთში დაბრუნების მსურველთა ჯგუფი თანდათან იზრდება.

**მომავალი ყრილობა.**

**მოსკოვი,** 19 სექტ. ოქტომბრის დასაწყისში მოსკოვში, შესდგება სრულიად რუსეთის წყლით მიმოსვლის კავშირის მომუშავეთა ყრილობა რკინისზღვთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

**კურსის დამწესებელ კომისიის ოფიცილური ბიულეტენი.**

**მოსკოვი,** 19 სექტ. დღეს გამოქვეყნებულია ოფიციალური ბიულეტენი ფულის კურსის დამწესებელ კომისიის მიერ: გირვანქა სტერლინგი ღირს 3,000; დოლარი—690 მანეთი; ფრანკი—50 მ.; შვეიცარიის ფრანკი 130 მ; შვეციის კრონი—179 მან; გერმანიის მარკა 47 კ. ოქროს მანეთი—337 მ. 50 კ.

## კაპიტალიზმის სამეფოებში

### გერმანიაში

**ჰანოვერი.** 19 სექტ. აუქსბურგში 17 სექტემბერს გაიხსნა სოც. დემოკრატიული პარტიის ყრილობა საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა მიულერმა.

**ჰანოვერი.** 19 სექტ. ლეიპციგში გაიხსნა გერმანიის ბუნების-მეტყველთა და ექიმების ყრილობა. ყრილობა განირჩევა მონაწილეთა მრავალრიცხოვანობით, რომელთა რიცხვი 4.000 კაცამდე აღწევს.

### პოლონეთი და რუმინია

**მოსკოვი.** 19 სექტ. (რადიო). ვარშავის გაზეთები სავსეა იმ ზეიმის აღწერით, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუმინიაში პილსუდსკის მოსვლის დროს. პილსუდსკიმ თავის მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა, რომ არ არის და არც იქნება ისეთი რამ, რასაც შეეძლოს გათიშვა გამოიწვიოს პოლონეთისა და რუმინიის შორის, და რომ ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე არსებობს მხოლოდ ერთი ერი, რომელსაც აქვს ორი ნაციონალური დროშა.

„კურიერ პორანნი“ იტყობინება, რომ რუმინიის წრეებში ხაზს უსვამენ არა ჩვეულებრივ, გულწრფელ მიღებას, რომელიც გაუმართეს პილსუდსკის და აღნიშნავენ მისი დარბაზობის ნაყოფიერ შედეგებს. დადის ხმები, რომ ორთავე სახელმწიფოები თანახმანი არიან ერთად განიხილონ აღმოსავლეთ გალიციისა და ბესარაბიის საკითხები.

### ირლანდიაში

**მუშათა მოძრაობა.**

**მოსკოვი. 19 სექტ. ირლანდიის სამხრეთი ნაწილი მოწყვეტილია მთელს მსოფლიოს. რკინის გზების, ტელეგრაფის და ტელეფონის მოძრაობა შეწყდა. დაზიანებულია გზატკეცილები. სამხრეთ და დასავლეთ ირლანდიაში ხდება შეიარაღებული შეტაკებანი.**

**ნაუენი.** 19 სექტ. ბელფასტიდან იტყობინებიან ახალ არეულობასა და შეტაკებების შესახებ არეულობა დაიწყო აგრეთვე დუბლინში.

### ჩინეთი

**ჯართან შეტაკება**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. რკინის გზაზე პეკინსა და ხანკოუს შორის მოხდა გაფიცულ მუშების შეტაკება ჯართან; დაჭრილია 40 მუშა.

### ლიტვა

**კომუნისტები და ლიტვის სეიმის არჩევნები**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. კოვნოდან მიღებულ ცნობების თანახმად ლიტვის სეიმის არჩევნები დანიშნულია 10 ოქტომბრისათვის. მიუხედავად რეპრესიებისა კომუნისტებმა დაადგინეს მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში 6 საარჩევნო ოლქებში წამოყენებულია მუშათა ჯგუფის სიები და არის რამოდენიმე დეპუტატის გაყვანის შანსი.

**კომუნისტების დატუსაღება**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. რომის პრესა იტყობინება კომუნისტებისა და მუშების მასიურ დატუსაღების შესახებ. ვინდავაში დატუსაღებულია ათი კაცამდე. მიტავაში დატუსაღებულია 34 კაცი. ლატვიის ციხეები არაჩვეულებრივადაა გავსებული.

**ნავთსადგურის მუშების გაფიცვა**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. ვარშავიდან მიღებული ცნობებით დანციგში დაიწყო ნავთსადგურის მუშების გაფიცვა.

## ამიერ კავკასიის ფედერაციაში

### საქართველო

**აფხაზეთი.**

**სოხუმის წყალსადენი.**

აფხაზეთის უმაღლესმა ეკონომიურმა თათბირმა, მოისმინა რა კომუნალური მეურნეობის განყოფილების მოხსენება სოხუმში ახალი წყალსადენის გაყვანისა და ძველის შეკეთების შესახებ, დაადგინა:

1. ახალი წყალსადენის გაშენება, სახელსახელმწიფოს მიერ სათანადო თანხის გაღების შეუძლებლობის გამო, ჩაითვალოს არადროულად;

2. კომუნალური მეურნეობის განყოფილება დაუყოვნებლივ შეუდგეს ძველი წყალსადენის კაპიტალურ შეკეთების, მიცემულ ხარჯთ აღრიცხვის თანახმად, ამავე დროს სახელმწიფო, ფინანსთა სახ. კომისარიატის სახით აძლევს კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას 300 მილ. მან. სესხს.

**კუმისტინის აღმასკომი სასურსათო გადასახადის შესახებ.**

კუმისტინის აღმასკომის უკანასკნელ პლენუმზე უდიდესი ყურადღება მიექცა სასურსათო საკითხს. წარსული წლის სასურსათო გადასახადის კომპანიამ მოგვცა მთელი რიგი გაუგებრობისა სასურსათო გადასახადის განაწილებისა და დათესილის რაოდენობის შესახებ ცნობების შეგროვების დროს. მიიღო რა ყოველივე ეს მხედველობაში, აღმასკომმა დაადგინა დაარსდეს სასურსათო გადასახადის იმკრეფი სამეული აღმასკომის თავმჯდომარის, სასურსათო სახ. კომისარიატის წარმომადგენლის და მესამე წევრის მონაწილეობით, მიეცეს მას საგანგებო უფლებები და დაევალოს დაუყონებლივ შეუდგეს მუშაობას ამ მხრივ.

**კოლექტიური ხელშეკრულებანი.**

აფხაზეთის უმაღლესმა ეკონომიურმა თათბირმა, მოისმინა რა შრომის სახ. კომისარიატის დადგენილების პროექტი კოლექტიურ ხელშეკრულებების შესახებ, დაადგინა: დაევალოს ყველა სამეურნეო ორგანიზაციებს შეიმუშაონ საკითხი კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესახებ 15 სექტემბრამდე მუშებთან და მოსამსახურეებთან არსებულ დებულებათა თანახმად, რომელიც აწესრიგებს დამქირავებელთა და დაქირავებულთა ურთიერთობას. პროფ. კავშირთა საბჭოს დაევალა სათანადო პროფ. კავშირების საშუალებით დაამზადონ ყველა საჭირო მასალები.

### აზერბეიჯანი

**წითელ არმიელების შეღავათები.** აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით განთავისუფლება გადასახადებისაგან, რომელიც ეხება ბაქოს მაზრის წითელ არმიელთა-ასკერთა ოჯახებს, გავრცელდა აზერბეიჯანის რესპუბლიკის ყველა მაზრებზე.

**ბიბი-ეიბატზე ცეცხლის გაჩენა,** 12 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე ბიბი-ეიბატის რაიონის ცენტრალურ საწყობებში გაჩნდა ცეცხლი. მახლობელ სამრეწველოებიდან მოსულმა ცეცხლის მქრობელთა დრუჟინამ და ბაილოვიდან გამოგზავნილმა ცეცხლის მქრობელთა რაზმმა საერთოთ ძალით ჩააქრეს ცეცხლი ღამის 1 საათზე. ცეცხლის მქრობელთა დრუჟინის მეცადინეობით შეჩერებული იქნა ცეცხლი, რომელიც ის იყო უნდა გაჩენოდა კორპუსის მთავარ საწყობს, გადაარჩინეს აგრეთვე ბენზინის და ძვირფასი მასალების საწყობი. თავგანწირულად მუშაობდენ აგრეთვე მუშები არა დრუჟინელები, რომელნიც სახიფათო ადგილებში შედიოდენ და გაბედულად ეხმარებოდენ ცეცხლის მქრობელთა დრუჟინას.

**სასურსათო გადასახადი.** 13—16 სექტემბრამდე სასურსათო სახ. კომისარიატის სახელზე მოვიდა 38 196 ფუთი ტვირთ., რაც წინანდელთან ერთად შეადგენს 357.374 ფუთს. რ. ს. ფ. ს. რ.

**გზათა სახ. კომისარის ბრძანება.** რ. ს. ფ. რ. გზათა სახ. კომისარმა ამხ. ძერჟინსკიმ 14 სექტემბრის ბრძანებაში აღნიშნავს, რომ კასპიის ოლქის მუშაობის შემოწმების დროს, შენიშნულია, რომ ნავთის პროდუქტების გატანის სასწრაფო საქმე სწარმოებს სრული პასუხისმგებლობის შეგნების რესპუბლიკის წინაშე. საოლქო სამმართველოს მიერ მიღებული ზომები დამამტკიცებელია იმ ზრუნველობისა, რომელსაც იჩენს სამართველო ნავთის პროდუქტების გატანის საქმეში. საოლქო სამმართველოს მიერ მიღწეულია გუბების ყისების რიცხვის გადიდება რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში უდრის 9-ს. საქმის რიგიანად დაყენებისათვის მადლობა გამოეცხადა ამხ. პოლეჟაევს, მის თანაშემწეს და გემების მთელ შემადგენლობას.

**ოქროს ვალიუტის კურსი.** გაზ. „ზაკავკაზსკი რაბოჩი“ სწერს: სხვა და სხვა დაწესებულებები თავის შეხედულებით აწესებენ ოქროს მანეთის კურს ოფიციალურ ბირჟის გარეშე, რომელიც საზღვრავს ამ კურსს მოთხოვნის და მოხმარების საფუძვლებზე. ამ საკითხის შესახებ გაიმართა მთელი რიგი თათბირებისა სამეურნეო ორგანოების და ბირჟის მონაწილეობით. თათბირი მივიდა იმ დასკვნამდე რომ საჭიროა ოქროს ვალიუტის უნიფიკაცია. ბირჟის კომიტეტმა თავის მხრივ სცნო საჭიროდ ოქროს ვალიუტის უნიფიკაცია და შეიმუშავა ოქ- მანეთის საშუალი ბირჟის ფასის მორკვევის წესები ყოველთვის დ- ღევს სწარმოებს გამონაგარიშ- ბირჟის საშუალო ფასებისა ოქრ- მანეთზე, რომელიც გამოქვეყნდ- სახელმძღვანელოდ ანგარიშების გ- წორების დროს.

## სასურსათო გადასახადი მაზრებში

**ბორჩალოს მაზრა**

როგორც უკანასკნელად მიღებული ცნობები გადმოგვცემს, ბორჩალოს მაზრის მოსახლეობა, რომელიც ზაფხულის გამო, მთებში იყო გახიზნული, უკვე დაბრუნდა სახლში და სასურსათო გადასახადს აბარებს. საერთოდ ამ მაზრაში სასურსათო გადასახადის შეგროვების საქმეს დამკვრელი ხასიათი მიეცა სექტემბრის 15 დან. ხალხის დამოკიდებულება სასურსა- გადასახადისადმი კარგია.

**ახალციხის მაზრა**

გადასახადის შეგროვება მთ- მაზრაში სასურველად მიმდინარე- ზოგიერთმა თემმა უკვე სრულად დაიხადა მასზე შეწერილი გადასახა- მაგალითად ვალეს თემმა სულ მ- ლე ხანში გაისტუმრა თავისი ხვედ- 8.500 ფუთი ხორბალი.

## სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მე-5 ყრილობა

**პროფკავშირების შედეგები და პერსპექტივები.**

**მოსკოვი.** 19 სექტემბერი. ყრილობაზე ამხ. ტომსკიმ გააკეთა მოხსენება პროფმოძრაობის შედეგების და პერსპექტივების შესახებ. მოხსენების შინაარსი ასეთია, რომ პროფმოძრაობის ახალი კურსის შედეგებმა გადააჭარბეს ყოველგვარ მოლოდინს. იმისი შიში, რომ პროფმოძრაობა ასცდება სწორ გზას, არ გამართლდა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ხანაში პროფმოძრაობის შინაარსი იგივე რჩება, რაც იყო წინად. პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში პროფკავშირები დაინტერესებულნი არიან სახელმწიფო მრეწველობის აღდგენით. პროფკავშირთა ტაქტიკა განისაზღვრება იმ დებულებით სახალხო მეურნეობის და აღმშენებლობის საერთო სისტემით. თუ მაგ. კვების კავშირს შეუძლია გამოაცხადოს, გაფიცვა, ვინაიდან იმ კავშირს მუშები მუშაობენ თავისუფალ ბაზრისათვის, რკინისგზელების გაფიცვამ ზიანი შეუძლია მიაყენოს სახელმწიფოს ცხოვრებას.

შეეხო რა კოლექტიურ ხელშეკრულობის ტომსკი ამბობს, რომ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დეკრეტით გატარება არაფერს არ იძლევა ვინაიდან უფლებრივ სფეროში ჩვენ გვაქვს (გამოტოვებულია)...

სატარიფო სფეროში ეს შექმნის (გამოტოვებულია).. ტომსკი აღნიშნავს, რომ საჭიროა მხარი დაუჭიროთ ინდუსტრიალურ მუშებს და გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა, ვინაიდან ისინი არიან მუშათა კლასის ავანგარდი, და ავანგარდისათვის მხარის დაჭერა არის მთელი მუშათა კლასის მოვალეობა. ეხება რა პრო- ორგანოებს ურთიერთობის მასებ- ტომსკი ამბობს, რომ საჭიროა მო- სრიგებულ იქნეს მუშაობა, და- ლოვდეთ მუშებს, ვიმუშაოთ მას- ფაბრიკებში და ფაბრიკების გარე- დავაკმაყოფილოთ მუშების გონებ- ვი მოთხოვნილებანი. პროფკავშირ- იყვნენ, არიან და იქნებიან პროლე- ტარიატის კლასიური ორგანიზაცი- და საბჭოთა ხელისუფლების დამ- ლი ორგანო. ტომსკის მოხს- ბა დაიფარა მქუხარე ტაშით.

**მოხსენება მრეწველობის შესახებ**

საღამოს სხდომაზე სახალხო მეუ- ნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდ- მარემ ბაგდანოვმა გააკეთა მოხს- ბა მრეწველობის მდგომარეობის სახებ და აღნიშნა, რომ მრეწველ- საჭიროებს საბრუნავ თანხებს. მრ- ველობისათვის გადადებული თა- მოთხოვნილების 35 პროცენტის რა- დენობით (გამოტოვებულია) მი- დავად ამისა... შემჩნეულია წარმ- ბის კონცენტრაციის კარგი შედე- ბი, ტრესტების დაარსებით უმ- ბესდება მუშათა მდგომარეობა. მო- სენებელი იძლევა წინადადებას ვისუფლება მიენიჭოს ადგილობრ- მრეწველობას, შეჩერებულ იქნეს დები, მიეცეს საშუალება ფეხი მოდგას უცხოეთის კაპიტალმა, სად- ეს შესაძლებელია, გადასინჯულ ნეს სახელმწიფო მრეწველობაზე დებული გადასახადები. მიღებულ ი- რეზოლიუცია მოხსენების ყოვე- პუნქტის შესახებ.

## ქრონიკა

◆ **საუწყებო კოოპერატივთა არსებობა** გარეშე მუშათა კოოპერაციის სისტემისა დაუშვებელია, ამიტომ ყველა ამ გვარ კოოპერატივებს წინადადება ეძლევა, რათა ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა შევიდნენ მუშათა კოოპერაციის სისტემაში, რისთვისაც უნდა შეუთანხმდენ მუშათა კოოპერატივთა ცენტრს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გამოცხადდებიან არა კოოპერატიულ ორგანიზაციებად.

◆ **მიწად მოქმედების სახ. კომისარიატის დათვალიერებამ,** რომელიც მოახდინა წარმოების და დაწესებულებათა დათვალიერების საგანგებო კომისიამ მუშა-მოსამსახურეების მიღების სისწორის გამოსარკვევად, აღმოაჩინა 10 შემთხვევა მოსამსახურეების მიღებისა ბირჟის გარეშე. აქედან 7 კაცი უეჭველად იქნებიან მოხსნილი, 3 კი დარჩება თავის ადგილზე, იმ პირობით, თუ აღირიცხებიან შრომის ბირჟაში.

◆ **მუშა ძალის მოძრაობა 16 და 18 ოქტომბრის განმავლობაში.** თბილისის შრომის ბირჟაში აღნუსხულია 1473 უმუშევარის გამოცხადება აქედან 787 მამ. და 686 ქალი. ახლად გატარდა რეგისტრაციაში 363 კაცი, აქედან 226 მამ. და 137 ქალი. მოთხოვნილება მუშა ხელზე იყო 241, აქედან 219 მამ. და 25 ქალზე, გაიგზავნა სამუშაოზე 141 კ აქედან 111 მამ. და 30 ქალი აღრიცხვიდან ამოშლილია სხვა და სხვა მიზეზების გამო 5 ქალი.

◆ **გაფუჭებული თევზი.** 17 სექტემბერს ნავთლუღის სადგურში მოვიდა ახალი თევზის პარტია, რომელიც სახმარებლად უვარგისი გამოდგა. მთელი ეს თევზი 50 ფუთის რაოდენობისა, დაკავებულ იქნა კომუნალურ მეურნეობის განყოფილების თანამშრომლის ამხ. გულვერის მიერ და მისი მოთხოვნით მილიციის თანადასწრებით მეპატრონეს საწყობიდან გადაჰყარეს მტკვარში.

◆ **სამხედრო უწყების სასადილ-** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუ- დადგენილებით პლეხანოვის პრ- პექტზე არსებული სამხედრო უწყებ- სასადილო განთავისუფლებულია ტრაქტირო და საბინაო გადასახა- დისაგან.

◆ **ჟურნალისტების ცეხში.** ჟურ- ნალისტების ცეხის ბიურომ დაად- ნა გაგზავნოს წარმომადგენელნი მ- კოვში 1 ოქტომბრისათვის მოწვე- პრესის მომუშავეთა სექციის ცენ- ბიუროს გაფართოებულ პლენუმ- სადაც თბილისის გაერთიანების წა- მომადგენელი მოწვეულია.

◆ **უმუშევართა დახმარება.** უ- შევართათვის აგვისტოს დახმარე- მიცემა დაიწყება 22 სექტემბრი- და მოხდება შრომის ბირჟის შენო- ში, სადაც უმუშევრებმა უნდა მიმა- თონ ამხ. ჩაგულოვს. აგვისტოს დახმ- რება მიეცემათ ძველი განაკვეთ- თანახმად.

◆ **ტვირთზიდვის გადასახადი თბილისში.** ტვირთზიდვის გადასახად- გამტარებელ კოლეგიის ცნობით შ- სრულებულია 50 პროც. დასახ- მიზნისა.

◆ **სოციალურ აღზრდის მთავ- საბჭოში.** ახლო მომავალში განზ- ხულია გაიხსნას კოჯორში ბავშ- სასოფლო-სამეურნეო კოლონია ბავშვისათვის.

— სოციალურ აღზრდის კოლეგ- დადგენილების თანახმად საბავ- დაწესებულებები ქალაქში და პრ- ვინციაში და რომლითაც არ აქ- შეძლება თვითონ შეიძინონ სახე- მძღვანელოები, მიიღებენ ასეთებს ს- ციალურ აღზრდის საბჭოსაგან უ- სოდ, რომლის განკარგულებაშ- თვითონ არიან.

— სოციალურ აღზრდის მთავარ სა- კომმა აღძრა შუამდგომლობა განა- ლების კომისარიატის წინაშე გახს- ლი იქნას რესპუბლიკაში პედაგოგი- რი ტეხნიკუმები, განსაკუთრებით სადაც პედაგოგების ნაკლებობა საგ- ძნობია.

✦ ელექტროფიკაცია. „გიდრო-შენს" მიეცა გიდრო-ელექტრონის სადგურის ზესტაფონში და ელექტრო-სადგურის ხონში ასაშენებლად ...ერო თანხების ნაწილი.

✦ ახალციხის მაზრის მორწყვა. „გიდროშენის" განყოფილებას მიეცა ...დადება გამოიკვლიოს ახალციხის მაზ. ზოგიერთი ნაწილების მორწყვის შესაძლებლობა. ამ მიზნისთვის გაიცა ...0 მილიონი მანეთი, დანარჩენი თანხები გაცემული იქნება მუშაობის მიმდინარეობის მიხედვით. გიდროშენი ...უდგა გამომკვლევ პარტიის ორგანიზაციას, რომელიც ამ მოკლე ხანში ...გზავნება სამუშაოდ. ფიქრობენ, ...ამ მუშაობა წარმოებული იქნება ადგილობრივი მცხოვრებთა ძალებით, რომელნიც ყოველგვარ დახმარებას ...მოუჩენენ ასეთ მუშაობას, ვინაიდან ...სარწყავ არხების მოწყობა ასწევს ...მცხოვრებთა შრომის ნაყოფიერებას ...მათი კეთილ მდგომარეობას.

✦ ავეჯეულობის ფაბრიკა. ავეჯეულობის ფაბრიკის დაძველების გამო, სატყეო კომიტეტის კოლეგიამ დაადგინა, გააერთიანოს იგი ხის დასამუშავებელ ქალაქის ფაბრიკასთან. ...ით მიღწეული იქნება როგორც ძა...ების ეკონომია ენერგიის შემცირებით, ისე ადმინისტრაციის შემცირებ..., რაც გაიაფებს ფაბრიკატებს, ...წარმოება კი სამჯერ გადიდდება. ...ახალ გაერთიანებულ ფაბრიკისა...თვის შენდება ორი შენობა იმ ადგილზე, სადაც მოთავსებული იყო ...ქინაძის. და ბაკურაძის ქარხანა. ...გეგმები და პროექტები უკვე დამტკიცებულია ქალ. აღმ. კომიტეტის საამშენებლო განყოფილების მიერ.

✦ რ. ს. ფ. ს. რ. ძველი ფულის ნიშნების ხმარებიდან ამორიცხვა. საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წ. 28 ივნისის დადგენილების თანახმად უკვე რამდენიმე თვეა სწარმოებს 1922 წლამდე გამოშვებული ყველა ძველი ფულის ნიშნების ხმარებიდან გამორიცხვა და მათი 1922 წლის ნიმუშის ფულის ნიშნებზე გამოცვლა.

ასეთივე გამოცვლა უნდა მოხდეს ამიერ-კავკასიაში, საბჭოთა რუსეთის ძველი ფულის ნიშნებისა, როგორც ეს ჩანს დღევანდელ გაზეთში მოთავსებულ ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის ფინანსთა სახ. კომისარიატის განცხადებიდან.

მთავრობის აღნიშნულ დონის მუშაობის მიზნად აქვს დასახული დააწესოს საბჭოთა რუსეთის საზღვრებში ერთიანი ფულის ტრიალი და მნიშვნელოვანად გაადვილოს ურთიერთშორის ანგარიშების გასწორება.

1922 წლის ნიმუშის რუსეთის ფულის ნიშნებმა ამ ჟამად უკვე მოიპოვეს მოქალაქეობრივი უფლება მთელ რესპუბლიკაში, გარდა ამისა მათ ტეხნიკური თვისებებს აქვთ უდავო უპირატესობა სხვა ყველა ნიშნების წინაშე; ამით უზრუნველყოფილია ყოველგვარი სიყალბე და მანეთის კურსის სიმტკიცე, გადიდებულია რა ფულის ერთეულის ღირებულება 10 ათასჯერ.

—

### მიწად მოწყობა

**მიწის საჯანგებო კომისიის მოქმედება.** მიმდინარე წლის გაზაფხულიდან მიწად-მოქმედების კომისარიატთან არსებობს ცენტრალური მიწის კომისია, რომელიც ორ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს: 1) მიწების გამო ყველა დავათა გადაწყვეტა რესპუბლიკის ფარგლებში მისი ავტონომიური ერთეულებით, აპელიატიური წესით, 2) მიწათ მომწყობ კომისიებზე ჩივილების განხილვა.

იმის გამო, რომ საბოლოოდ მიწათ მოწყობა დიდ დროს მოითხოვს, ადგილი აქვს დავას მიწაზე ამა თუ იმ პირის უფლების გავრცელების ნიადაგზე. ყველა დადგენილებებს, რომელნიც გამოტანილია მიწათმოსაწყობ მუშაობის წარმოებამდე ადგილობრივ აქვს დროული მნიშვნელობა, და იძლევიან ერთნაირ უფლებრივ საფუძველს და მასალას მიწადმომწყობ ორგანოების მუშაობისათვის. მიწადმომწყობ მუშაობის ამა თუ იმ რაიონში დამთავრების შემდეგ, მიწის კომისიების დადგენილებებს საბოლოო ხასიათი აქვთ. არსებობის რამოდენიმე თვის განმავლობაში კომისიას მოუვიდა 443 საჰპელაციო საჩივარი, მათში გარჩეულია 151 საჩივარი, გადადებულია მხარეთა დაუსწრებლობის გამო 143 საჩივარი და არ არის გარჩეული 119.

ცენტრალურ მიწის კომისიას ქონდა იმავე დროს შემთხვევა საქმის ადგილობრივ გასარჩევად გამგზავრებულიყო ქუთაისში, ახალციხეში, რაჭაში და გორში. როგორც ცენტრალური კომისია, ისე სამაზრო კომისიები დატვირთულია შემოსული საჩივრებით და მიწის მფლობელობის ნიადაგზე აღძრულ დავით კომისიის შტატი ამ ჟამად შესდგება—თავმჯდომარისაგან, ორი წევრისაგან, მდივანი და მემანქანესაგან.

ამ ჟამად განსაკუთრებული გართულება მიწადმომწყობ კომისიების მოქმედებაში შეაქვს მფლობელობის კერძო უფლების დაჯახებას საზოგადო ინტერესთან და მიწაზე საერთო უფლებასთან, მაგრამ ასეთ დაბრკოლებებს თანდათან ნიადაგი ეცლება.

## ხელოვნება

**რუსთაველის თეატრი**

**„სულელი" შიუკაშვილის**

**მ. ქიაურელის სალამო-წარმოდგენა**

„სულელი", ეს პიესა საკმაოთ დრამატიული აპერცეპციით არას სალაშინ გაკრული და იძლევა პროცესუალობის ყალიბით სითბოს, რომელშიდაც უსათუოთ არის ბევრი ბალასტიც.

მაგრამ ყოველი პიესა უმთავრესათ ასრულებაა, და ამ მხრივ სცენამ შეიძლება მისცეს მას მეტი წონა.—ქართული თეატრი კი თავის სამზირით დისონანსია, რომელზედაც იშვიათად ყოფილა სახიობა სრული. ქართულ წარმოდგენას არ ყავს სცენარიუსიც და პარტნიორის გაცვეთილი შემოსვლა, ან დაგვიანებული ბუტაფორიული ხმაური (მაგ. კულისებში საცროლი იარაღების ხმარება) ყოველთვის კლავს პიესას და ანელებს მოცემულს. უმთავრესათ პარტიის ამსრულებლებში არის რეაქცია: ერთი გმირი რომ საჭირო პათეთიურობით და შინაგანი ლირიზმით ამაღლებს პროცესს, მეორე: ბუნებუთ ნაყნოსივით არის და, ასე ყოველთვის.

სამშაბათს, წარმოდგენილი „სულელი" აღნიშნულ ნაკლით დარჩა. თვით ქიაურელი ამ როლში სავსეა არტისტის ენერგიით და „სულელის" ტიპიურობას ქმნის ჭეშმარიტ ხელოვნის სულით, მაგრამ მასაც ქონდა კორძი, რაც ანსამბლის ეპიგონებით ავსებას უნდა მიეწეროს. ვ ანჯაფარიძე როგორღაც ვერ იჭერდა გიპნოზით პარტერს. არ ქონდა ტემპერამენტი შურისა და სიყვარულის გზა ჯვარედინზე შეხვედრის, უკანასკნელ მოქმედებაში უფრო ვერ იყო მირონით, სადაც საჭიროა გაორებული სულის ტრაღიული პულსით გაშლა და საბედისწერო ყუთთან განწირულ სიყვარულის ცრემლები: კიდევ: ის ხშირათ იღიმებოდა როლის ვითარების დროს ალბათ ირონიულ სიმწარით, მაგრამ, ნამდვილათ სხვაგვარ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ალ. იმედაშვილი იდგა თავის სიმაღლეზე. არას ვიტყვით დანარჩენებზე, რომლებიც უძეიროთ ასრულებდნენ ნაკისრ როლებს.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება. ოპერის მსახიობმა კავსაძემ იმღერა ქართული რომანსები, რომელთა შორის შერჩევით შესრულა „შენ რაღას იტყვი არაგვო". შემდეგ იმღერა თამარ წერეთელმა რომლის ხმა საყდრის გუმბათებიდან გადმოფრენილ მგრედების ფრთების შრიალივით ისმოდა და ხან საწნახელიდან ქურში გადახეთქილ ტკბილის ხმაურით იშვილდებოდა.

ვასო აბაშიძემ და ნიკო გოცირიძემ იმღერა კუპლეტები „ვაი უის" ხმაზე, რომლებმაც და განსაკუთრებით ვასო აბაშიძემ, დაეშვა დარბაზში სიმხიარულე დაატრიალა. დასასრულ ჩონგურით იმღერა თვით ქიაურელმა, და ფარდა წამოვიდა დარბაზის მხურვალე ტაშით.

**რ. გ—ძე**

—

— **დამსახურებულ მსახიობის იუჯინ სუმბათაშვილის იუბილე.** რუსთაველის თეატრის დირექცია შეუდგა დიდ მზადებას მოსკოვის მცირე თეატრის დამსახურებულ მსახიობის იუჯინ სუმბათაშვილის შესახვედრად და იუბილეს გასამართავად.

— **ვასო ბალანჩივაძის სადამო.**

დღეს, 21 სექტემბერს, სახალხო სახლში ქ. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის მოწვევით დამსახურებული მსახიობი ვ. ბალანჩივაძე და კომპოზიტორი კ. ფოხვერაშვილი გამართავენ დიდ მხიარულ დრამატიულ მუსიკალურ სალამოს სამ განყოფილებად. წარმოდგენილი იქნება ახალი ერთ მოქმედებიანი პიესა კ. ფოცხვერაშვილისა „მესამე ცოლი". გაიმართება აკადემიური გუნდის და ორკესტრის კონცერტი. დასასრულ შესდგება მხიარული დივერტისმენტი. დასაწყისი სალ. 9 საათზე. დარჩენილი ბილეთები იყიდება კასაში.

— **რეპეტიციების დაწყება.** ქართული სახელმწიფო, აკადემიური დრამის თეატრში მუშაობა და რეპეტიციები დაიწყება 21 სექტემბრიდან.

— **სეზონის გახსნა.** სახელმწიფო დრამის სეზონი გაიხსნება 20 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში, სეზონი გაიხსნება შალვა დადიანის პიესა „ვარამით".

— **მთავარი რეჟისორები.** სახ. დრამის თეატრის მთავარ რეჟისორებათ მოწვეულნი არიან: მ. ქორელი, კ. ანდრონიკაშვილი, ა. ფალავა, ა. ახმეტელი. რამდენიმე პიესას დადგამს მოსკოვიდან ახლად ჩამოსული ცნობილი რეჟისორი კ. მარჯანიშვილი.

— **სახელმწიფო დასის რიცხვი.** სახელმწიფო დასის რიცხვი შესდგება 60 კაცისაგან.

— **ახალი დეკორაციები და კოსტიუმები.** მიმდინარე სეზონისათვის იხატება ახალი დეკორაციები და იკერება ახალი კოსტიუმები.

— **თეატრის შეკეთება.** დაჩქარებით სწარმოებს რუსთაველის თეატრის სცენის, პარტერის, ფოიეს და ბუფეტის შეკეთება.

— **საქართველოს ძველი სამწერლო განძეულობა** ამ დღეებში ქუთაისიდან ჩამოვიდა გაზეთების სააგენტო „იმერეთის" მმართველი, მწიგნობარი ისიდორე კვიცარიძე. რომელსაც ამა წლის 21 მაისის თარიღით გამოუგზავნია მთავრობისათვის მოკლე მოხსენება, რომელშიდაც იგი წინადადებას ძლევს მას შეიძინოს **საქართველოს ეროვნულ მუზეუმისათვის** 1890 წლიდან მისგან კანტორა „იმერეთში" დაგროვილი სამწერლო განძეულობა.

ამ განძეულობას შეადგენს: ა. **ქართული ჟურნალ-გაზეთები** დღემდი არსებულ ყველა მიმართულებისა. ამითში აღსანიშნავია უმთავრესათ იშვიათათ საშოვარი, პროვინციალურ-ქალაქების, ქუთათური ხუთი მიმართულების, უკანასკნელი 5 წლის რევოლიუციის ხანის პერიოდული დღიურ-კვირეული გამოცემანი. ესენი არსად სახელმწიფო ქალაქების ბიბლიოთეკებში არ მოიძებნება.

ბ. რუსეთის და უმეტესათ ქართველ გამოჩენილ **მწერალ მოღვაწეთა დიდი და პატარა სურათები** (ჩარჩოებში და უჩარჩოთ), რომლებიც სხვადასხვა ლიტერატურო შემთხვევათა და მომენტების გამო არიან გადაღებულნი ის. კვიცარიძის ინიციატივით უმთავრესათ ქუთაისსა და თფილისში.

გ. **ქართული წიგნები** და აგრეთვე რუსული სამეცნიერო გამოცემანი რუსეთის ცნობილ გამომცემლებისა, როგორიც იყო „პროსვეშჩენიე, გრანატი, ვოლფი, სუვორინი, ბიტნერი" და სხ.

დ. რამდენიმე იშვიათი **სამუზეუმო ნივთები** და გეოლოგიური ნაშთი გაქვავებული ხისა ტყიბულის მაღაროებიდან გამოტანილი.

ამასთან ერთად ის. კვიცარიძე თავის წინანდელ მოხსენებას დღეს უფრო აფართოებს და უმატებს, რომ მას ტეხნიკურათ საშუალება აქვს შეიძინოს სრული კომპლექტები მთელი ძველი ჟურნალ გაზეთებისა მესამოცე წლებიდან მოყოლებული 1900 წლამდე, ი. ჭავჭავაძის, ი. მეხაბლის აკაკის, ს. მესხის, გ. წერეთლის და საზოგადოთ მე-60—70 ე წლების მოღვაწეთა პერიოდული გამოცემანი.

მწიგნობარ ის. კვიცარიძეს ამათი შეგროვება უკვე დაუწყია და მისი პირველი ნაბიჯის გადადგმა ამ მრივ არწმუნებს, რომ მთელ საქართველოში, რომელიც მას თავის ხელობის—მწიგნობრობის და საფელიეტონო დასში მუშაობის გამო სულ შემოვლილი აქვს,—იგი ამ საისტორიო, მუზეუმისათვის მეტათ საჭირო მასალას უკლებლივ შეაგროვებს.

მხოლოდ ამისათვის ის. კვიცარიძე შემდეგ პირობას ურდგენს მთავრობას: ა. მისცეს მას უკვე შეგროვილ განძეულობის ფასის ანგარიშში ორასი მილიონი მან., რომლის ერთი ნაწილით შეუდგება შეგროვებას ძველ პერიოდულ გამოცემებისას, რაც აკლია დღემდი დაგროვილ განძეულობას.

ბ. უკვე დაგროვილი და შეკრებული კოლეკციები ჟურნალ-გაზეთებისა ყდებში და სურათები ჩარჩოებში დღესვე შეუძლია მთავრობას ჩაიბაროს და წამოიღოს მუზეუმში დასაცავათ, ხოლო დანარჩენს, შევსების და დამზადებისთანავე კომისიის მიერ შემოწმებულს და შეფასებულს, ჩააბარებს მუზეუმს.

### დღეს თეატრებში

— რუსთაველის თეატრი—თბილისის მიმოხილვა.

— ქართული კლუბის საზაფხულო თეატრი—გრანდიოზული სეირნობა, უმუშევარ ქალთა სალამო.

— თეატრი არტო—კონცერტი კაბარე.

— საზაფხულო წრე—საოჯახო საცეკვაო სალამო.

— სომხების კლუბის თეატრი—წარმოდგენა.

— ახალი კლუბი (ყოფ. არლეკინი)—საბავშო სეირნობა.

— ნიღაბოსანთა თეატრი—მოსკოველ ციგანთა კონცერტი და ე. მურატოვის გასტროლი.

— მუშ. ცენტ. კლუბი—კონცერტი.

— მ. ც. კ. ახალი თეატრი—კინო.

— ცირკი მრავალფეროვანი პროგრამა.

# პარტიული ცხოვრება

## განცხადება

ის ამხანაგები, რომელთაც სურთ შევიდენ მუშათა ფაკულტეტზე, არა უგვიანეს 23 სექტემბრისა უნდა გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ანკეტის შესავსებად და განცხადების წარმოსადგენად.

იმ ამხანაგებმაც, რომელთაც უკვე შეიტანეს განცხადება მუშათა ფაკულტეტზე ჩარიცხვის შესახებ, აგრეთვე უნდა შეავსონ ტ. კ. საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილების ანკეტები.

მეცადინეობა იქნება რუსულ და ქართულ ენებზე.

3—2 ტ. კ. საგიტ. საპროპაგანდო განყოფილების გამგე—**ეხხენი.**

—

ხუთშაბათს, 21 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში გაიმართება

## პოლიტ-წრეების ხელმძღვანელთა, რაიონების ორგანიზატორებისა და რაიონულ პარტიულ შკოლების ლექტორთა თათბირი

**დღის წესრიგი:**

1) მუშაობის შედეგები: 2) რაიონების ორგანიზატორების ანგარიში პოლიტ წრეების მუშაობის შესახებ.

კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **მ. ეხხენი.**

—

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 22 სექტემბერს

## მოაწყონ პარტიულ დღეს

**დასვან დღის წესრიგში:**

1) პარტიის წესდება.

მასალებად გამოყენებული იქნეს ახალი წესდების პროექტი, რომელიც დაურიგდა იაჩეიკების პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს.

2—1 თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ **რუბენი.**

—

# წყალდიდობა დასავლეთ საქართველოში

**სუფსის თემის ალმასკომი**

(ოზურგეთის მაზრა)

(მოხსენება წყალდიდობის შესახებ).

**8 სექტემბერს დაბა სუფსაში** მოხდა საშინელი წყალდიდობა, რომელმაც სრულიად გაანადგურა მთელი დაბა. დილიდან მდინარე თითქმის ნორმალურ კალაპოტში იდგა, არაფერი საშიშროება არ იყო მოსალოდნელი და ფიქრადაც არავის მოსვლია, რომ ეს პატარა მდინარე საშინელის სტიქიურის ძალით მოედებოდა მთელს არე-მარეს. მაგრამ უკვე ცხრის ნახევარ საათზე, უცბად, სრულიად მოულოდნელად ამოხეთქა წყალმა თავის კალაპოტიდან და დაფარა რკინის გზის აღმოსავლეთი მხარე, ეგრეთ წოდებული უნაგერის ნაწილი. არ გასულა სულ ათი წამიც, რომ საშინელის სისწრაფით წყალმა დაფარა მთელი უნაგერა, ე. ი. რკინის გზის იქით მთელი აღმოსავლეთი. მაშინ მოვიდა ხალხი გონს და მივარდა თავთავიანთ სახლებს, რათა სახლის ავეჯეულობის ნაწილი მაინც გადაერჩინათ, მაგრამ გვიან ღა იყო. ქუჩებში და სახლებში წყალი უკვე არშინზე მეტი იდგა და სახლებამდის მისვლა შეუძლებელი გახდა, რადგან მდინარის წყალი საშინელის სისწრაფით მიდიოდა ქუჩებში და იქ ჩამსვლელ ადამიანს დაღუპვას უქადდა. კიდევ რამოდენიმე წამი და წყალმა გადმოხეთქა რკინის გზის ნაპირის დასავლეთი ნაწილი და დაფარა მთელი ტბანათი, ნაწილი ახალსოფლისა და მთელი ხიდმაღალა. დაახლოვებით 12 საათზე წყალმა გადახეთქა, გადავიდა სუფსის მარჯვენა მხარეს და დაჰფარა ქვიშიანის და წყალ წმინდის კუთხეები. გადარჩა მხოლოდ ბაზარი. გადარეცხა რკინის გზა სუფსა და ჯუმათს შუა 200 საჟენ მანძილზე და სუფსასა და ნატანებს შუა 60 საჟენზე. თვით სადგურის წინ მდებარე რელსები სრულიად დაფარა. 11 საათიდან 15 საათამდე საშინელი წვიმა და ქარიც დაერთო ყველა ამ უბედურებას და ბაზარში შემოხიზნული ხალხი, ყოველის მხრიდან წყლიდან გარსშემორტყმული, საშინელმა პანიკამ მოიცვა, რადგან სარჩო საბადებელის დაღუპვასთან ერთად თავის დაღუპვაც მოელოდა. აღწერა ყველა იმისი, რაც საშინელება დატრიალდა, ყუ-

# ცხოვრების გზაზე

„თქვენ ვერ გაგვიგებთ,—ჩვენ აზვირთებულ ზღვის შვილი ვართ; ჩვენ ახლათ ნაშობი ბავშვი ვართი თქვენთვის უჩინარ ქვეყნისა.

„თქვენი სუსხი, თქვენგან მოყენებული ტანჯვა ჩვენ ვერ დაგვადუმებს. ვერ მოგვკლავს,—ჩვენ ცეცხლის დამნთები ხშები ვართ აგორებულ ტალღების.

„ჩვენ არ ვიცით შიში, თქვენი რკინის ხელები ვერ მოგვდრეკს; მკერდიდან ჩვენ განმანადგურებელი, მწველი ნაპერწკლები გვცვივა.

„ჩვენ საუკუნოებით გვბორკავდენ, გვაწამებდენ, მაგრამ მაინც ვარსებობთ, მაინც შევრჩით სიცოცხლეს; ჩვენ ყველა, ქურაში გამოწრთობილი დღეს, აღჭურვილი ვართ ფოლადის ნებით, რკინის რწმენით.

„უვნებელია ჩვენთვის თქვენ მიერ ნასროლი ისარი, თქვენი ხმაური თქვენი ულმობელობით აღსავსე მუქარა; ჩვენ ამაყი შვილები ვართ მეფე ოკიანესა,—სასტიკი და თავზარდამცემია ის, იგი არ დაგაცლით თქვენ ტირილს, ცრემლების დენას!"

1

...მე ჩვეულებრივ ვითვლიდი ოთახში ჩემა ამოწურულს, უფერო სიცოცხლის დღეებს.

ოთახში მე მარტო არ ვიმყოფებოდი; იქ ჩემს გარდა მრავალი სხვებიც იმყოფებოდენ, მაგრამ მე მაინც მარტოობას, საშინელ მარტოობას განვიცდიდი.

მარტოობის მიზეზი ის არ იყო რა ...ქმა უნდა, რომ მე არ მქონდა საშუალება ვინმე „მშვენიერ" სქესთან ვყოფილიყავ.—

რა უნდა ყოფილიყო მაშ?—

გარკვევით არ შემეძლო მცოდნოდა მე ეს. ვგრძნობდი მხოლოდ, რომ დაშფოთებული ვიყავ,—ვღელავდი...

...ვერა, სრულებით ვერ მომეთმინა ერთ ადგილზე გაჩერება.

უხილავი რაღაც ძალა შორს, შორს ...ადლაცისაკენ მიმეზიდებოდა...

უცნაურათ მეწურებოდა ტანის ყოველივე ასოები გულის გარდა; გული კი პირიქით უჩვეულოთ იშლებოდა, ფართოვდებოდა; იგი თითქო ცდილობდა, ყოველი არსი,—რასაც მე ჩემს ირგვლივ ვამჩნევდი, ვხედავდი,—...ის ჩაეტანა, თავის სიღრმეში მოექცია... ასე პატარა გულს,—ადამიანის ტანის ერთ ცენტრალურ ნაწილს,—...ურდა თავის სიღრმეში მოექცია მის გარეშე მყოფი, ეს უზარ მაზარი კოსმიური ქვეყნის ყოველი არსი...

ჰაერი არ მყოფნიდა,—სუსხიან ცივ ზამთარს ვერ შევეჩერებიე,—ხშირათ ვაღებდი ხოლმე ოთახის კარებს, ფანჯრებსაც,—მაგრამ...—

რას ნიშნავდა ეს?—

გაღებული ისინი ერთ წუთსაც კი არ ჩერდებოდენ,—მისითვე იხურებოდენ...

საკვირველი იყო!..

მინდოდა გამომეთქვა ეს გაკვირვება, მაგრამ ხმა ვერ ამომეღო.

...ენით აუწერელი სულის შინაგან ბრძოლას განვიცდიდი.

ჩემი სახის დანახვა მე არ შემეძლო, მაგრამ მწარე ტკივილები მეუბნებოდა, რომ იგი ალბათ საშინლათ მღერიჯებოდა...

ჩემი ცხოვრების თანამგზავრნი, ჩემთან მყოფნი, ჩემ ავი მდგომარეობაში ჩაცვენული ადამიანები ჩემს სახეზე ამას თითქო ვერ ჰკითხულობდენ; ისინი არ იზიარებდენ ჩემს მწუხარებას. ისინი მიდუმებული მიჯდომოდენ ოთახის ერთ კუთხეში მაგიდას და უხმოთ, გამუდმებით გასცქეროდენ უძრავ, მათთვის გაურკვეველ უტყვ რაღაც წერტილს.

მე იმათ სახეზე თუმცა ვკითხულობდი შექმნილ მდგომარეობით გამოწვეულ უკმაყოფილებას, მაგრამ ამ „უკმაყოფილების" გამოსახატავ ცდას ამოქმედებით, საქმიანობით მე მათში ვერ ვხედავდი.

განუსაზღვრელ მორჩილებაში შთანთქმულიყვნენ.

სდუმდენ, როგორც უტყვნი სამარენი.

მე ვერ შევურიგდი ამას..

გიჟს დამსგავსებული გამოვარდი ოთახის კარებიდან გარეთ.

2

მივდიოდი...

სად?—

მე არ ვიცოდი ესა... მინდოდა გავსცლოდი მხოლოთ ამ უმოძრაობას დამეღწია თავი მძიმე, მხრჩოლავ ჰაერის მორჩილებისადმი, განვშორებოდი, სამარადისოთ გავშორებოდი ყოველივე ძველს, მძიმე, საზარელ წარსულის მომთხრობელ ძველს, მაგრამ...

სანუგეშო ამ მხრივ ვერც გარეთ გამოსულს მენახა რამე.

... მზე არ მოსჩანდა. არე მარე ჯანყ-ბურუსში გახვეულიყო.

მთელი მსოფლიო თითქო უსაზღვრო სიცალიერეთ ქცეულიყო...

ვხედავდი მე ადამიანებს ჩასუქებულთ, კოხტებს, ლამაზათ მორთულებს, აგრეთვე გამხდრებს, დასახიჩრებულ დამახინჯებულთ, დაფლეთილ ჭუჭყიან ტანსაცმელებში უშნოთ გახვეულებს...

ყველა ესენი კი არ დადიოდენ; იდგნენ ერთ ადგილას ხმა ამოუღებლივ, ერთმანეთთან უკავშიროთ მყოფნი, საშინლათ გაფითრებულნი... რომ ცდილ ყვნენ, შე ძლება გადაეგათ ნაბიჯი, მაგრამ ამის ინტერესი თითქო მომკვდარიყო მათში.

გაყინულიყვნენ...

როგორც ქანდაკება ისე იდგნენ ისინი ერთ ჩვეულ, ნატკეპნ ადგილზე...

საბრალონი!!!—

...ცოცხლები კი იყვნენ,—მე ამას კარგათ ვამჩნევდი,—მაგრამ ვერ მოეხერხებიათ კი, რომ ამოძრავებით, ამოქმედებით დაემტკიცებიათ ეს მათ.

3

ასე იყო იქ,—ოთახში; ასე არის ეს აქ,—გარეთაც...

მე ისევ მივდივარ; განვაგრძობ გზას შეუჩერებლივ; გზა კი ულეველი იშლება ჩემს წინ. მაგრამ ასევე ულეველი არის თვით ჩემი სურვილებიც ამ ჰაოსში დაბადებული, ჰაოსის წინააღმდეგ მიმართული.

...კი არ მესმის, ვგრძნობ მხოლოდ შეწუხებულ ადამიანების ოხვრა—გოდებას; ზოგან კივილ ჩხივილსაც.—

რათ ყვირიან?

მიზეზი რა არის?—

არ ვიცი ეს მე; არც მაინტერესებს „ცოდნა" ამისი...

თვით ჩემი სიარული და წინ-სვლა ეძებს თითქო ამ მიზეზის ახსნას „სიხარულშივე," შეუჩერებელ წინსვლაში...—

და ისევ მივდივარ.

...მე კი არ ვხედავ. ვგრძნობ, გრძნობის თვალ-ყურით ვამჩნევ, რომ ჩემთან ერთად სხვებიც მიდიან იქ, იქ...—

სად?—

მე არ ვიცი ეს. მათი ლაპარაკი, მათი ხმა მე არ მესმის. ვატყობ მხოლოდ, რომ „სიარულის" მიზეზი იმათშიც იგივე არის რაც ჩემში.—ესე იგი: მოძრაობა, უმორჩილეობა, ჰაერი სუფთა, გამომაცოცხლებელი ჰაერი!!.

მივდივარ...

...ჩემი ყურადღება რაღაცამ მიიპყრო, უეცრათ შემაჩერა.

რა არის ეს?

სახელი მას თითქო არ ქვია. დამინახავს, შემიჩნევია კი მრავალჯერ, მაგრამ ყურადღება არას დროს არ მიმიქცევია მისთვის. არ დავინტერესებულიყავი მისით... ეხლა ვგრძნობ თითქო, რომ იგი ქვეყნათ აღუგვეს რკინის კანონებით არის წარმოშობილი და მის „ყოფნას" დაკავშირება თვით ადამიანის არსებობაც; ეხლა ვჰპულობ თითქო, რომ იგი სარტყელივით ერტყმის გარშემო იმას, რაზედაც მე ჩემი პაწია, ული ნო ფეხი დამიდგამს,—არსებობას განვაგრძობ.

...იგი მუდამ მიდის.

ეს სიარული ნელი, მშვიდი, შეუჩნეველი იყო სხვა დროს.

ეხლა, ეხლა კი...

საშინლათ ადიდებული ის ვერ მოთავსებულა ჩვეულებრივ ფარგლებში, ფაფარი აუყრია, ბასრისებრ მახვილათ, გამალებით, სწრაფად მოჩუხჩუხებს. დაუნდობელ გიჟს დამსგავსებული იგი ყველაფერს ლეწს; გზებზე შემხვედრი, უზარმაზარი ასწლოვანი ქვები, უსწორ-მასწორო დედამიწის ზედა პირი ოდნავადაც არ აჩერებს მას; თითქო ვინმეს დაჰქადნიაო; ალქაფებულ მკაცრ ტალღებს გაშმაგებული ისვრის,—ხან განზე, თავის ირგვლივ, ხან კი მაღლა,—ცაზე აწვდენას ცდილობს...

მე ვდგევარ ამ სანახაობის პირთან და ფრთხილათ გავყურებ...

შორს თვალს ვერაფერს ვერ უწვდენ,—ნისლი, სქლათ გადადებული ნისლი მისპობს იმის საშუალებას. თუ მხოლოდ ახლო დავინახავ რამეს, მაგრამ გარჩევით ვერც იმას ვარჩევ..

და აი ჩემს ირგვლივ მე ვამჩნევ უთვალავ ადამიანებს. ვგრძნობ, რომ ისინი ჩემი თანამგზავრები არიან. ისინიც ისე დგანან ახლოს ამ სანახაობასთან და შეჰყურებენ მოუსვენარ ტალღების თამაშს, როგორც მე.

მე ვატყობ, რომ ეს სანახაობა თანდათან მატულობს, ჩემკენ მოიწევს. მე თითქო მეშინია მოტაცების და ქურდულათ უკან ვიხევ; ვ ხევ და თან ვგრძნობ, რომ ეს უკან დახევა, შიში ჩემთვის რაღაც სამარცხვინო არის... ვმცირდები; ადამიანის ღირსებას ვკარგავ თითქო.

მე ვგრძნობ, რომ ჩემი სულისა და გულის სწრაფვას არ ეთანხმება ჩემი უკან გადადგმული ნაბიჯები.

..ამ სანახაობის სიძლიერე, შეუპოვრობა, უსწორ მასწორო ადგილებში,—იქით თუ აქეთ,—შეუწყვეტელი გადაჭრა, ქვებიდან ქვებზე,—ერთი მეორის გასწრობით თუ დაწევით,—დატაკება, ჭახა ჭუხი, მუდმივი მოძრაობა, რაკ რაკი,—ჩემში რაღაც არაჩვეულებრივ გრძნობებს იწვევს, ლონეს მმატებს, სიცოცხლეს მაძლევს, უშიშარს მხდის...

მივისწრაფვი, მივისწრაფვი მეც!..

საით?

ამ სანახაობის სიღრმისაკენ თითქო. მეც, მეც მინდა შევერთო ამ გრგვინვას, მრავალის მთქმელ ტალღებს!..

ბევრი აღარ მაკლდება მე ამ მდგომარეობაში...

სურვილი დაკავშირებია თითქო თვით სტიქიას... ტალღა ხვდება იმ ნაპირს სადა მე ვდგევარ.. გადმოხეთქს, მეც შიგ მიქცევს... არც კი მაცლის სიტყვის თქმას,—თითო მან იცის ჩემი ზრახვები, ჩემი მრწამსი,—წინ მიყოლიებს.

უჩვეულო მდგომარეობა იქნება ჩემს ირგვლივ...

...ტკივილებს კი არ ვგრძნობ, კი არ ვიხრჩვები; პირაქეთ, მეტი სიამე მეუფლება თითქო...

პირველათ მეუცხოვა, მემწვავა, შევწუხდი ცოტა, მაგრამ შემდეგ თანდათან შევეჩვიე,—გავსაკლდივდი, გავმაგრდი..

შევისწავლე, შევისწავლე მე ამ სანახაობის ძალა!.

4

გულზე მოწოლილი მძიმე ყანვის ლოდი მომეხსნა...

გარეთ მძრწოლველი სული, დაგუბებული გრძნობები, რომელიც ასე მომბეჯნოდა იქ ჩაკეტილ ოთახში ყელზე და მახრჩობდა, აქ, გარეთ სუფთა ჰაერში გამოსავალ, თავისუფალ ღია კარებს ჰპოულობს.

ვხედავ მე ჩემს გარშემო როგორ მოგორავენ უხსოვარ დროიდან გაჩენილი უძრავი დიდი ქვები,—მე კი მათ არც ერთს არ ვიხვდრებ; ვხედავ მე როგორ სწყდებიან ერთმანეთს გორები, ფართოვდება ნაპირები იქით თუ აქეთ, ღრმავდება თან და თან ეს დაუნდობელი შთანქმული სანახაობა..

...მე კი უვნებლათ ვრჩები; მე კი უვნებლათ ვარ მიმაგრებული მის ზედა პირზე და მივქრივარ წინ მიმავალ სანახაობასთან ერთად.

ოოო, როგორ, როგორ ძირიანათ სთხრის უზარ მაზარ ხეებს იგი და ტალღების სათამაშოთ აქცევს!..

..აი შეიპრა იგი აქ, იქ ლამაზათ გაშენებულ ეზოებში, ეცა მდიდრულათ მოკაზმულ სახლ-კარს, წააქცია, მიანგრ-მოანგრია იქაურობა, არ დაინდო უმწეო პირუტყვი ცხოველები, არ დაინდო ადამიანები,—მსუყე, ზედით კმაყოფილნი, „სიცოცხლით" სავსე ადამიანები,—არ დაინდო თვით უმანკო პაწია ჩვილებიც...—

ყოვლის შემძლებელო! პაწიებმა რაღა დააშავეს? უმანკოებს რატომ არ ჰკითხულობთ?—გაკვირვებით ვიძლევი მე კითხვას თითქო.—

„ჩვენ არა გვაქვს დრო უმანკო და ბიწიერების გარჩევისთვის; ჩვენ არა ვართ ვალდებულნი განვიკითხოთ ისინი. პირაქეთ იმათ უნდა გვიკითხონ ჩვენ! ჩვენს ტალღებში, ჩვენს გამძვინარებულ გორვაში ძალის, ნების შეგნება იკითხება და არსებობისათვის ბრძოლა მხოლოდ. ვინც ეს არ იცის, ვისაც ეს ვერ შეუგნია ის მოძრაობას სწყდება; ხოლო უმოძრაოს კი სიკვდილი ეუფლება".

— ამ პასუხს ვკითხულობ მე თითქო აღნიშნულ სანახაობის მძაფრ მოძრაობაში, ტალღების შეუწყვეტელ თამაშში... და ასე იგი მსხვერპლს თავის სიღრმისაკენ მიაქანებს.

**საკვირველია! — ვხედავ,—კი არ მიაქვს თან ეს მოსპობილი ადამიანები,—იქვე ნაპირზე რიყავს უსიცოცხლოს; ხოლო სხვა ნივთებს, მოტაცებულ უსიცოცხლო საგნებს კი წინ მიაფრენინებს.**

მივფრინავ მეც... და განა მარტო მე ვარ!?.

მე ვამჩნევ მრავალ, მრავალ ადამიანებს ჩემს ირგვლივ მყოფთ...

ისინიც ისე ეთამაშებიან ამ ტალღებს და უშიშრათ მადიან წინ როგორც მე...—

როგორ გაჩნდენ მერე?—

რატომ ჩემს თვალებს გამოეპარა მათი წარმოშობის ადგილი?—

მე ვატყობ, რომ მანძილის განვლა მახვედრებს მათ.

და რამდენ მეტს განვივლი ამ მანძილს, იმდენ მეტს ვხვდები მათ

**ს. თალაკვაძე.**

(დასასრული იქნება).

# მუშათა ცხოვრება

## საანგარიშო წიგნაკები.

ამას წინათ გამოვიდა საანგარიშო წიგნაკები ახალი სახისა, რომლის ცხოვრებაში შემოღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. კანონით ეს წიგნაკი უნდა შეიძინოს წარმოებამ და უნდა დაურიგოს მუშებს უფასოთ. ცხოვრებაში ასე არ ხდება და ძალიან ხშირათ წიგნაკის ხვედრ ფულს მუშებს უკავებენ ხელფასში. არის შემთხვევები, როცა ამას სჩადის თვით ადგილკომი. შრომის დაცვის განყოფილება ამით აცხადებს, რომ ასეთ უკანონობაში შენიშნულნი მიეცემიან შრომის კანონის დარღვევისათვის პასუხისგებაში.

## შრომის ინსპექტორებო ფხიზლად.

შრომის კანონებით სავაჭროები უნდა იღებოდეს დილის 9 საათზე. ეს კანონი სავსებით არ ტარდება ცხოვრებაში და დარაბა შემოხურულ სავაჭროში ვაჭრობას მასიური ხასიათი აქვს მიღებული. 8 ზე და კიდევ უფრო ადრე ვაჭარი და მისი მოსამსახურეები უკვე სავაჭროში არიან. წმენდენ სავაჭროს ან ვაჭრობენ. სასურველია შრომის ინსპექტორებმა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და ერთობ გათამამებული და გათავხედებული ვაჭრები გონს მოიყვანონ. მეტი სიფხიზლე მართებთ შრომის ინსპექტორებს.

**მოხამსახურე.**

## ახალი სახის მათხოვრობა.

ხშირათ შეხვდებით ქალს თუ კაცს ბავშვით ხელში და სამათხოვროთ ხელ გაწვდილს. თხოულობენ თავის ავადმყოფ ბავშვისათვის შეწყალებას. ამ სახით მართლაც აბრალებენ ხალხს თავს და სამოწყალოს კრეფენ. ფული ნამდვილათ ასეთ ბავშვებს არ ხმარდება და ისინი საშინელ მდგომარეობაში არიან. ძინავთ ღია ცის ქვეშ ცემენტის იატაკზე, არა აქვთ საჭმელსასმელი და სხვა. სასურველია ქალაქის აღმასკომის სათანადო განყოფილება ასეთ ბავშვების მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევდეს და მათ მეტ მზრუნველობას და პატრონობას გაუწევდეს.

**ქ. ა.**

## არსენალი

არსენალის ქარხანაში მუშაობს 500 კაცი. აქ წარმოება ნელ ნელა დაბლა იწევს.

საჭიროა ეხლავე მიექცეს ამას ყურადღება და დახურვის მაგიერ გაფართოვებულ იქნას. ეს ძვირფასი ქარხანა. გარდა ამისა ქარხანა, რომელიც მხოლოთ სამხედრო შეკვეთებით არის ავსებული და ამ შეკვეთის ფასი ერგება, ამასაც კი ვერ ღებულობს თავის დროზე, რათა მუშახელფასით თავის დროზე იყოს დაკმაყოფილებული. საჭიროა ამასაც მიექცეს ყურადღება.

**არსენალ. მუშა ილიკო.**

## სიღ. მაზ პროფ-კავშირების ბიუროსთან არსებული საკონფლიკტო კომისია.

26 აგვისტოს იქნა განხილული კომუნალურ გმნყოფილების გამგის მიერ [illegible] ტის გარჩევა მ ხან შეუწყობლათ დაინახა, ამისათვის კონფლიქტი გადაეცა სიღნაღის მაზრის შრომის განყოფილებასთან არსებულ კომისიას განსახილველად და შესაფერი მსჯავრის გამოსატანათ.

**მუშ ქითაშვილი.**

---

ლად შეუძლებელია. დაახლოვებით 16 საათზე წყალმა დაიწყო დაკლება და სადგურის წინა ნაწილი გაანთავისუფლა, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ხელახლა ადიდდა, როგორც იყო და ასე გასტანა 9 სექტემბრის 1 საათამდე, რომლის შემდეგ 13—14 საათზე ჩადგა თავის კალაპოტში. მთელი ზარალის აღნუსხვა ამ ჟამად ყოვლად შეუძლებელია. უმთავრესი ზარალია: სრულიად მოსპო ერთი ოჯახი—ქვრივი პელაგია თოდუასი, რომელსაც წაართვა წყალმა 4 ოთახიანი წაბლის ოდის სახლი, სამზარეულო, ბეღელი, ნალია, ბოსელი, სამოსახლო მიწა ერთ ქცევაზე მეტი და ნახევარზე მეტი სახლის ავეჯეულობა. წაართვა ბილიხოძეს, უნაგერას კუთხის მცხოვრებს სამზარეულო და ბეღელი მთელი სახლის ავეჯეულობით, გასწყვიტა თითქმის მთელი შინაური ცხოველები, მთელი თემის ერთი მესამედი შინაური ცხოველებისა (ხარი, ძროხა, ხბო, ღორი, ცხენი) დაახრჩო, წაიღო მრავალი სასიმინდე, საკუჭნაო სახლები, ბოსლები და სხვა. მთელს თალარა ადგილებში მოსპო ღობეები, რომელიც აღემატება 5000 საჟენს. საშინლად გააფუჭა კუთხური და სასოფლო გზები 7—8 ვერსამდე. დასტოვა ქუჩებში, სახლებში და ეზოებში ლაფი, ტალახი და ყოველგვარი სიბინძურე ერთი და ზოგან 2 არშინის სიმაღლეზე. სრულიად გაფუჭებულია, ზოგან დალეკილი და ზოგან სრულიად წაღებული 15 დესეტინამდე ყანები და სანახევროთ გაფუჭებულია მთელს დაბაში. ბოსტნებზე ლაპარაკიც ზედმეტია: ის ყველგან დალეკილია. სათიბეები სრულიად განადგურდა, საბალახოები აღარსად იპოვება, რადგან 1 არშინზე და ზოგან 2 არშინზე დალეკილია. ყანებს, რომლებიც სანახევროდ ხალხს მაინც აიმედებდა, შეესია შინაური ცხოველები, რადგან მთელს თემში ღობის ნიშანიც არ არის. აღარ იცის ხალხმა, რომელ ერთს მიხედოს: თავის სახლი და ეზო გასწმინდოს. დაავადმყოფებულ და შეშინებულ ცოლშვილს მოუაროს, თუ ყანებზე იფიქროს. ყველაფერი უიმედობამ მოიცვა და შველას ელის.

სუფსის თემის აღმასკომის თავმჯდომარე **ღლონტი.**

## წყალდიდობა ჭიათურის შავი ქვის სამრეწველო რაიონში

შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საქმეთა მმართველი ინჟ გ. ს. ხუნდაძე ჩამოვიდა ჭიათურიდან ტფილისში და გადმოგვცა ცნობები ჭიათურის რაიონში წყალდიდობის და მისგან წარმოშობილ ზარალის შესახებ.

სექტემბრის ექვს, ღამით, წამოვიდა კოკისპირული წვიმა, რომელიც სამი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა. მდინარე ყვირილის დონე აიწია ორ საჟენამდე, რასაც ამ რაიონში მოხუცებულთა გადმოცემით, არასდროს ადგილი არ ქონია. საშინელი ნიაღვარით წაღებულია 30 მდე პატარა ხიდები და ორი დიდი ხიდი, რომლის ნანგრევებით შორაპნის დიდ ხიდს მიყენებული აქვს დიდი ზიანი. რკინის გზის ხაზი, განსაკუთრებით შორაპანსა და დარკვეთს შორის, გაფუჭებულია: სილა და მიწა ნიაღვარმა წალეკა და რელსები ჰაერზე ჩამოკიდებული გეგონებოდათ. შავი ქვის მრეწველობას წყალდიდობამ აუარებელი ზარალი მიაყენა. საწყობებიდან წყლის მიერ წაღებულია 3—4 მილიონი ფუთი შავი ქვა, რომელიც საექსპორტოდ იყო დამზადებული, ამ მარაგის ღირებულება უდრის 600.000 მან. ოქროთ.

საწყობების შენობები მოყრილია ქვიშით. შავი ქვის საწმენდი ფაბრიკები დაზიანებულია და მათი შეკეთება მოითხოვს დიდ დროს და თანხას. თვით ქალაქში სრულებით დანგრეულია რკინის ხიდი. წალეკილია წყალსადენის და ელექტრონის სადგურები, რის გამოც განათება ჭიათურაში ამ ჟამად არ არის. საერთო ზარალი რომელიც მიყენებული აქვს შავი ქვის მრეწველობას, უდრის ჯერ ჯერობით 1 ნახ. მილ მანეთს ოქროთ რასაც შეუძლია უარყოფითი გავლენა იქონიოს შავი ქვის წარმოებაზე.

— ამის გამო გუშინ შესდგა შავი ქვის მრეწველობაში ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციათა სასწრაფო სხდომა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს სამთო კომიტეტის წარმომადგენლის და შორაპნის აღმასრულებელ კომიტ. თავმჯდომარის ამხ. ვაშაძის მონაწილეობით. დადგენილია შუამდგომლობა აღძრან მთავრობის წინაშე გძელვადიან და უპროცენტო სესხის და საჭირო მასალების მიცემის შესახებ.

# ეკონომიური ცხოვრება

### თბილისის ბორჟა

**თბილისი.** 20 სექტემბერი. თბილისის სავალიუტო სავაჭრო ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი:

19 სექტემბერს. ოქროს 10 მან.—1,100,000. ოსმალეთის ლირა—180,000. გირ. სტერლინგი.—1,175,000. დოლარი—255.000.

### ბაქოს ბირჟა

**ბაქო.,** 17 სექტემბერი. ბაქოს ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი.

| | 15 სექტ. | 16 სექტ. |
|---|---|---|
| დოლარი | 7,100,000 | 7,100,000 |
| გირ. სტერლ. | 32,500,000 | 33,200,000 |
| ფრანკი | 575,000 | 580,000 |
| იტ. ლირა | 300,000 | 300,000 |
| ოსმ. ქაღ. ლირა | 4,850,000 | 5,000,000 |
| მარკა | 8,000 | 8,000 |
| რუს. 1922 წ. (100ათ-დე) | 94 | 94 |
| „ „ 100-მეტი | 94 | 94 |
| შემოკ. ვალდებ. | | |
| 5000 და 10000 | 80 | 80 |
| ქართული | 2,800 | 2,950 |
| ოქ. 10 მან. | 32,500,000 | 33,500,000 |
| ოსმალ. ოქროს | | |
| ლირა | 26,500,000 | 27,000,000 |
| ნატეხი ოქრო | | |
| (56 საწ.) | 6,500,000 | 6,400,000 |
| თუმანი | 4,800,000 | 5,000,000 |
| ვერცხ. 1 მან. | 1,700,000 | 1,700,000 |
| წვრილი ვერცხ- | | |
| ლი | 700.000 | 700,000 |

### ერევნის ბირჟა.

**ერევანი,** 19 სექტ. უცხოეთის ვალიუტის თავისუფალი კურსი სომხური ფულის ნიშნებით:

ოქროს 10 მან.—48,000—48,400. ოსმალეთის ოქროს ლირა—43,600—44,000. დოლარი—11,000. ლირა ოსმალური—7,800. ქართული ბონი—43—44. თუმანი—7,800.

### ბერლინის ბირჟა.

**ბერლინი.** 19 სექტემბერი. გირ. სტერ.—6505,85. დოლარი—1473,15 ჰოლანდ. გულდ.—56928,75.

### პარიზის ბირჟა

**პარიზი:** 18 სექტემბერი დახურდავება ლონდონი—58,34. ნიუ იორკი—13,2150. გერმანია—0,950. ისპანია—201,00.

გაზ. „ტანის“ ცნობით—ბირჟაზე განწყობილება უფრო მტკიცეა, ვიდრე ორშაბათს.

**პარიზი.** 19 სექტემბერი. დახურდავება—ლონდონი—58,35, ნიუ იორკი—13,2400, გერმანია—0,920, ბელგია—94,40. ისპანია—202,00, შვეიცარია—246,25.

**პარიზი.** 19 სექტემბერი. შაქარი—70,173.

**ჰავრი.** 19 სექტემბერი. ყავა სექტ.—193,25, ოქტომბერი—193,75, ნოემბერი—194,25.

### ლონდონის ბირჟა

**ლონდონი.** 18 სექ. პარიზი—58,48. ნიუიორკი—4,41, 11 | 16 ბრიუსელი—62,1, ჟენევა—23,665. მილანი—105 15 | 16, ბერლინი—6550,00, კოპენჰაგენი—20,925, ვენა—320000, პრაგა—126,00, ჰელსინგფორსი—202,5, ვერცხლი—55 1 | 4.

# პროვინციაში

### აღმოსავლეთი გურია

აღმოსავლეთ გურიას შეადგენს ჩოხატაურის რაიონის თოთხმეტი თემი რომლებიც დაშორებულია ერთმანეთისაგან 30 ვერსტის მანძილზე. მდებარეობით ხსენებული თემების დიდი უმეტესობა მთა-გორიანია, შუა ადგილას ჩაივლის ერთი მთავარი გზა, რომელიც აერთებს აღმოსავლეთ რკინის გზის ლიანდაგს სადგურ საჯავახოში და დასავლეთით ქალაქ ოზურგეთს.

მოსავლის მხრით ეს ადგილ ბი არ არის ნოყიერი და დიდს არას იძლევა. ხალხის დიდი უმრავლესობა ხვნათესვას მისდევს, მოყავთ სიმინდი და ღომი, მაგრამ, როგორც ზემოთ ვსთქვით, მიწების უვარგისობის გამო [illegible] სცვლიდნენ სიმინდზე ამა 1922 წელში კი ამასაც მოკლებული და იყო ის ხელცარიელი შეხვდა უსაშინლეს შიმშილს. დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ თუ მთავრობას არ მიეღო სათანადო ზომები, ხალხი ასე ვერ გადიტანდა შიმშილს და საშინელი ამბების მოწამენი გავხდებოდით. მაგრამ მთავრობამ ადრე ჩაიხედა ხალხის გულში დი შეძლებისადაგვარათ დაეხმარა მას.

მთავრობამ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბრიდან დაიწყო დახმარების მოწოდება და დღემდის რამდენიმე ვაგონი სურსათი (ხორბალი, ქვავი და სიმინდი) დაურიგა ხალხს ჩოხატაურის რაიონში, ზოგი სესხის სახით, ზოგიც დახმარებით; ამას დაემატა ბათომის ბაზარზე ბლომათ პურის ფქვილის შემოტანა, რომელიც გამოტანილ იქნა ჩოხატაურში კოოპერატივთა კავშირის და კერძო პირების მიერ: აამუშავეს რვა ფურნე, სადაც მთელი ზაფხულზე გამუდმებით ცხობოდა და ცხვება დღესაც პური აი ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილმა საშვალებებმა დახმარება მისცა დამშეულებს და გადაატანია უსაშინელესი კრიზისი მომავალი წლისათვის ხალხს დიდი იმედი ქონდა, ყანები ნაადრევი იყო, მოსავალს კარგი პირი უჩანდა და იმედის თვალით შეჰყურებდა მთელი ხალხი, მაგრამ, სამწუხაროთ, სიხარული ნაადრევი გამოდგა. შვიდ სექტემბერს ნაშვადღევის ხუთი საათიდან დაიწყო კოკის პირული წვიმა და ოცი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ იწვიმა, ადგა უსაშინელესი ნიაღვარი და სრულიად წალეკა წყლის ნაპირებზე მდებარე ყანები. ზარალი აუწერელია, წაღებულია ყველა წისქვილები, აყრილია ბევრი მოსახლე პირი, განადგურებულია მდინარის პირზე ყველა ნაშენი მამულები, ტყეები, წაიღო ყველა ბოგირები, მოწყვეტილია ჩოხატაური გზას, როგორც ოზურგეთისკენ, აგრეთვე საჯავახოსკენ, ვინაიდგან ყველა ხიდები წაღებულია. სახელმწიფო გზაზედ, აგრეთვე წაღებულია ყველა სოფლებში გასასვლელი პატარა ხიდებიც. განადგურებულია მთელი მთის და ფერდო ადგილების ყანებიც, ერთი სიტყვით ზარალი დიდისაგან დიდია. ეს ნიაღვარი კი არა წარღვნა იყო. ამნაირი მოვლენის მომხრე პირი აქ არავინ აღმოჩნდა. ჩვენ ჯერ ცნობები არა გვაქვს სოფლებიდან, თუ რა მოხდა იქ, ეს არის მხოლოდ ადგილობრივათ. სოფლებში კიდევ მეტი ზარალი იქნება, უსათუოდ საჭიროა სწორი ცნობების აკრეფა და დაზარალებული პირების აღწერა. ბევრია ისეთი პირი, რომ მთელი სარჩო წაართვა, აგრეთვე საჭიროა ეხლავე ფიცხელი მუშაობის დაწყება, გზებისა და ბოგირების შეკეთება, რომ მიმოსვლა მთლათ არ შეჩერდეს და ვისაც ცოტა რამ გადაურჩა, ისიც არ დაეკარგოს უგზოობით სახლში მოუტანელი.

**ხეფე ცინცაძე.**

### სურამი.

ჭირნახულის აკრეფა სურამის თემში თითქმის სრულიად დამთავრებულია; ალაგ ალაგ არჩევენ დაბოლოს მოსულ სიმინდს და აბინავებენ ძარ ბეღლებში. მოსავალი მთელ სურამის თემში წრეულს საშუალოა, დამაკმაყოფილებელია. როგორც გლეხები გადმოგვცემენ, ასეთი მოსავალი არ ყოფილა უკანასკნელ სამ-ოთხ წელიწადში. ამის უმთავრესი მიზეზი იყო გაზაფხულის ხელ შემწყობი წვიმები. მართალია მარიობის თვეში ზოგ ალაგას სურამის თემში გაიარა სეტყვამ და სიმინდს ზიანი მიაყენა, მაგრამ არც ისე საგრძნობი. სურამის თეზზე შეწერილ 6100 ფუთ ხორბალს გლეხობა ადვილად იხდის, უკვე 5,000 ფუთამდე აქვთ შემოტანილი, დარჩენილია რაღაც ათასი ფუთი რომელსაც ამ ერთ კვირაში სულ ჩააბარებენ ხაშურის პუნქტს. გადასახადის აკრეფის დროს აღმასკომს არ დასჭირებია რაიმე ზომისათვის მიმართვა, გარდა სიტყვიერ აგიტაციისა.

მართალია ჯერ-ჯერობით გლეხობას, სანამდე გადასახადს არ დაამთავრებენ, ჭირნახულის გამოტანის უფლება გასასყიდათ არ აქვთ, მაგრამ ვისაც კი გადუხდია და ჭირნახული გამოაქვს ბაზარზე გასასყიდათ, აფასებს ხორბალს 100,000 120,000 მანეთს და ქერს 70,000 80,000 მანეთ ფუთს.

სხვა სანოვაგეზე ფასები სდგას ასეთი: გირვანქა ერბო ღირს—70,000 მან., ადგილობრივი ყველი 25,000 მან, წყვილი ქვერცხი 5,000 მან., არის მრავალი ხილი: ქლიავი, ვაშლი, მსხალი, წაბლი და სხვა, მათ შორის ნამეტანი ბევრია ამ ჟამად მოცვი, რომელიც ბლომად ისყიდება ადგილობრივ თბილის-ბათომიდან ჩამოსულ ვაჭრების მიერ.

რაც შეეხება თვით სურამს, წრეულ სავსე იყო, შედარებით შარშანდელთან, მოაგარაკეებით; იდგა ქართული სამოსწავლო ათასეული და სამხედრო სკოლა. ამინდები მშვენიერი იყო, გასართობები მრავალი იყო, იდგმებოდა სისტემატიურად წარმოდგენები, იმართებოდა კონცერტი და მოაგარაკენი საკმაოდ ნასიამოვნები, აცივების გამო ნელ-ნელა მიეშურებიან თავიანთ მუდმივ ბინაზე. წავიდა სამოსწავლო ათასეული, წავიდა სამხედრო სკოლაც. თვით სურამის მაცხოვრებელნიც გმაყოფილნი არიან წრევანდელი მოაგარაკეთა სურამში ყოფნით.

**კოტე ქურდღვანიძე.**

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის**

**ბრძანება**

19 სექტემბერი 1922 წ.

№ 394

აჭარისტანის ავტონომიური საბ. სოც. რესპუბლიკის მილიციის უფროსი ამხ. **ხურგულაძისადმი** მადლობის გამოცხადების შესახებ.

ა. წ. სექტემბრის პირველ რიცხვებში, ვიყავი დასავლეთ საქართველოში და კერძოთ აჭარისტანში, სადაც ადგილობრივ გავეცანი ადმინისტრაციის მუშაობას და განსაკუთრებითი ყურადღება მიიპყრო მილიციამ, რომლის სათავეში სდგას ამხ. **ხურგულაძე**. იმ წესრიგისა, თავდარიგიანობისა, დისციპლინისა და სამსახურისადმი შეგნებული დამოკიდებულებისათვის, რომელიც არსებობს მილიციაში, ვუცხადებ მადლობას მილიციის მთელ შემადგენლობას და მის სამაგალითო უფროსს ამხ. **ხურგულაძეს** თავდადებული, დაუღალავი და მუშა და გლეხთა მთავრობის ინტერესების და პრესტიჟის თავგამოდებული სამსახურისათვის, მადლობასთან ერთად, მილიციის განკარგულებაში არსებულ, განსაკუთრებული თანხიდან ამხ. **ხურგულაძეს** ერთდროულ ჯილდოთ უნიშნავ ათ მილიონ მანეთს.

ეს ბრძანება გამოცხადდეს გაზეთებში ოფიციალურად.

შინ. საქ. სახ. კომისარი **გეგეჭკორი.**

### დადგენილება

**ს. ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის.**

19 სექტემბერი 1922 წელი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი იღებს რა მხედველობაში მის განკარგულებაში არსებულ ცნობებს, რომ მსახიობები: ბიქტორი პეტიპა, ბორისი პლეტნიოვი, მიხეილ მორდკინი, ივანე ლინევიჩი, მაჰავარიანი, ფედოტოვი, ნიკოლსკი და ბორის პროზოროვსკი ცხადათ ეწევიან გარყვნილ ცხოვრებას, რომელიც მოქმედობს გამღრწნელად საზოგადოებრივ ზნეობაზე, **ადგენს:** გაძევებულ იქნან აღნიშნული პირნი საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებიდან; ამასთანავე წინადადება მიეცეს თბილისის ქალაქის მილიციის უფროსს მოიყვანოს სისრულეში ეს დადგენილება 24 საათის განმავლობაში, გაძევებულ პირთათვის გამოცხადების მომენტიდან.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

### დადგენილება № 52

**საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონურ კომიტეტის დადგენილების 1922 წ. თებერვლის 3 თარიღითა და 136 ნომრით გაუქმების შესახებ.

1. საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის დადგენილება 1922 წ. თებერვლის 3 თარიღითა და 136 ნომრითა სახალხო ბანკის წესდების შეცვლის და დამატების შესახებ გაუქმებულ იქნეს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა.

საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. ხვანიძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

15 სექტემბერს 1922 წ.

ქ. ტფილისი—სასახლე.

### ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. რესპუბლიკების ფედერაციის ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან.

1922 წ. 28 ივნისს საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ, ერთნაირი ფულის ტრიალის დაწესებას და ურთიერთ შორის ანგარიშების გასაადვილებლად გამოსცა დადგენილება 1922 წლამდე გამოშვებულ ყველა ფულის ნიშნების ხმარებიდან გამორიცხვისა და მათი 1922 წლის ფულის ნიშნებით შეცვლის შესახებ.

ამის გამო ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. რესპუბლიკების ფედერაციის ფინანსთა სახ. კომისარიატი ზემოაღნიშნულ დადგენილებასთან შესათანხმებლად, აცხადებს:

1) რუსეთის საკრედიტო ბილეთები 1918 წლის ნიმუშისა, 1919, 1920, 1921 წლების ყველა ფულის ნიშნები და 1922 წლამდე გამოშვებული მოკლე ვადიანი საპროცენტო 5.000 მანეთიანი ვალდებულებანი გამოიცვლება საქართველოს სახალხო ბანკის დაწესებულებებში 1922 წლის ნიმუშის რუსეთის ფულის ნიშნებზე მხოლოდ 1922 წლის 1 ოქტომბრამდე.

2) საბჭოთა რუსეთის 1922 წ. ვალდებულებაში (1,5 და 10 მილიონ. მან. და აგრეთვე ფულის ნიშნები 50,000 და 100,000 მან. მიიღება 1922 წლის ნიშნებზე გამოსაცვლელად მხოლოდ 1923 წლის 1 იანვრამდე.

3) აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ ყველა ჩამოთვლილი ფულის ნიშნები და ვალდებულებანი მთავრობის კასაში გამოსაცვლელად აღარ მიიღებიან და დაჰკარგავენ ფულის მნიშვნელობას.

4) ამიტომ მცხოვრებლებმა უნდა იზრუნონ თავის დროზე გამოსცვალონ 1922 წლამდე გამოშვებული ფულის ნიშნები 1 და 2 მუხლში აღნიშნულ ვადის გასვლამდე.

5) ძველი ფულის ნიშნების გამოცვლა მოხდება შემდეგ პირობებში: 10,000 მან. ძველი ფულის ნიშნები უდრის 1922 წლის ნიმუშის 1 მანეთს.

6) საქართველოს სახალხო ბანკის დაწესებულებებში და ხაზინებში გამოცვლა მოხდება სასწრაფოდ და დაუბრკოლებლივ, რა მიზნითაც იმათ განკარგულებაში იმყოფება 1922 წლის ნიმუშის ფულის ნიშნების საკმაო მარაგი.

1922 წლის ნიმუშის ფულის ნიშნები ხმარებაში იქნება შემოღებული ანგარიშების გასაადვილებლათ და ყალბი ნიშნების დამზადების თავიდან ასაცილებლად.

ამიერკავკასიის საბჭ. სოც. რესპუბლიკების ფედერაციის ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილე—**ხ. იზმაილოვი.**

**სარედაქციო კოლეგია.**

გულდამწვარ დაკოდილი მშობლები **იახონ და თამარ გაბილაია,** თავის ნათესავთ, ამხანაგებსა და მეგობრებს აცნობებენ, რომ ტრაგიკულ პირობებში (რაიც ამ დღეებში გამოქვეყნდება) უდროოთ გარდაცვლილის მათი უძვირფასესი შვილიკოს

# ოქროპირ-გულიკოს

**დასაფლავება, მისი „დაბალზამებისა“ და მისთვის აკლდამის გაკეთების გამო, გადადებულია და დრო დასაფლავებისა ცალკე იქნება გამოცხადებული.**

გულწრფელი და მხურვალე მადლობა იმათ, ვინც მათ პატივი სცეს კვირას, 17 სექტემბერს, მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურაში სადაც „დაბალზამებული“ გულიკო განისვენებს ხოლმე, პატივსაცემათ გამოცხადებით.

(448—2—2)

## გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს ბავშვებს შრომის სკოლის ყველა კლასებში შესასვლელად და მიაზრდილთ მათემატიკაში და ენებში. აქვე იღებენ სრული პანსიონით სამს მოწაფეს. მეცადინობა ჯგუფებათ და ცალ-ცალკე. პლეხანოვის ღ ალექსის ქ. № 25 და 5 ნახვა 11—2 ს. 5—6 ს. (335—1—1)

## გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების

# საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პასუხისგებაში. (0—26)

## ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

# სამკურნალო

ხაწოლი ოთახებით

## მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(304—25—9)

## საქართველოს სახალხო ბანკის სავაჭრო

# განყოფილება

ისმობს იმ პირთ, ვისაც შეუძლია იკისროს რესპუბლიკის მილიციის ტანთსაცმელის დამზადება. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება სახალხო ბანკის საკაჭრო განყოფილებაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა).

339—3—1

## ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო სასამართლო

იწვევს სახალხო სასამართლოში მემკვიდრეების უფლების წარსადგენათ გარდაცვალებულ 20 თებერვალს 1919 წელ. შმავან კარაპეტის-ძე ... რენიანცის ქონებაზე. 20 სექტემბერი 1922 წელ. (336—1—1)

ტირაჟი 10.000 ნ. დ. ს. ც.

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.